№ 117 | 1877—1905 | № 117

ხუთშაბათი, 14 ივლისი | | ხუთშაბათი, 14 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, გრძელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ... სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ. ... წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მასკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

## რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია ამითი აცნობებს თავის ხელის მომწერთ, რომ, ვისაც გაზეთის ფასი მხოლოდ 1 ივლისამდე აქვს შემოტანილი და შემოსატანს ფულს დააგვიანებს, გაზეთი აღარ გაეგზავნება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

## პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.
გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.
**გაზეთის ფასი:** 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.
**ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**
რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.
**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.
სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა ლამაზი, გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).
სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.
პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.
ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ვ. მანუელიანცს, ტფილისს.
**უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.** (24—4)

**დოქტორი მედიცინისა**

## ვლ. ი. ინაშვილი

იღებს ყოველ დღე 1—3 საათამდე და საღამოთი 6—8 საათამდე შინაგანის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ.
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 31. (10—4)

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(ქუჩაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. შ. ჩიქოვანი.**—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, ტვინისა და ნერვების ავადმყოფობისა.
**ა. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ქირურგიულ ავადმყოფობისა.
**ს. ი. ბაბანასოვი**—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
**ა. ი. ბძლიშვილი**—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
**ბ. ა. თარხანოვი**—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
**ა. ბ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ქ. აბიანცი**—შინაგან ჯადმყ. 7—8 საათ.
**ა. ა. არდაზიანი.**—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.
**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (ავადმყოფთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.
ბინის-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ა. ბძლიშვილი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

**ტფილისის ექიმები.**

კბილის ექიმი

**ივანე ბ. ახალშენიშვილი**

**გადავიდა:** ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ ...) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირაობით 10—1-მდის.

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**...ბელიშვილი კონსტანტინე**—ელიზაბედის ქუჩა, სახლი ...

**...ლექსი-მესხიშვილი,** სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს ... ავადმყოფებს და საზარდე-სქესებრივ ორ...

განოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

**დიასამიძე ალექსანდრე**—ლორის-მელიქოვისა და გარინის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

**ვაწაძე სპირიდონ**—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**გაბაშვილი გრიგოლ**—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

**ბესარიონ პაპოვი**—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფების ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

## ქართ. დრამ. საზოგადოება 25 წლის განმავლობაში

1880 წელს 22 იენისს მაშინდელმა კავკასიის ნამესტნიკმა დაამტკიცა ქართველი ინტელიგენციის მიერ შემუშავებული წესდება „ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა“, რომლის მთავარი მუხლები ასე განმარტავენ „საზოგადოების“ საგანსა და მოვალეობას:

„ქართული დრამატიული საზოგადოება ფუძნდება ქ. ტფილისში იმისთვის, რომ დაეხმაროს დრამატიულ ხელოვნების წარმატებას კავკასიის სანამესტნიკოში მცხოვრებ ქართველთა შორის; ამასთანავე დაეხმაროს სამუდამო და შემთხვევით ქართულ წარმოდგენების გამართვას კავკასიაში“ (§ 1).

„ამ საგნის მისაღწევად საზოგადოებას აქვს ნება:
„ა) მოიპოვოს საკუთრებად და დაიქირავოს როგორც დარბაზი წარმოდგენების გასამართავად და ახალი საზოგადოების ქონების შესანახავად, აგრეთვე ყველა ის, რაც სცენისათვის საჭიროა;
„ბ) მისცეს თავისი ქონება სახმარებლად სამუდამო დასს და სცენის მოყვარულთა წრეებს.
„გ) დაეხმაროს მატერიალურად დრამატიულ წევრებს და არტისტებს, რომ უფრო გაავარჯიშოს მათი ნიჭი და მოქმედება.
„დ) გამოსცეს ქართულ ენაზე ორიგინალური და ნათარგმნი დრამატიული თხზულებანი და, თუ საჭიროება მოითხოვს, გამოსცეს გაზეთი ან ჟურნალი განსაკუთრებით დრამატიულ ლიტერატურისა ან კრიტიკისათვის.
„ე) დანიშნოს ჯილდო საუკეთესო დრამატიულ თხზულებათათვის ქართულ ენაზე და
„ვ) გამართოს ქ. ტფილისში თეატრალური კლასები და დროებითი კურსები მოსამზადებლად და გასავარჯიშებლად არტისტებისა“ (§ 2).

ჩამოთვლილი საგნებიდან აშკარადა სჩანს, თუ რა ფართო და დიდი ნაყოფის გამომღები საშუალება და ასპარეზი აქვს „ქართულ დრამატიულ საზოგადოებას“ წესდების ძალით. იგი წესდებით მინიჭებულ უფლების შესაფერ ნაყოფსაც მოიტანდა ჩვენს ცხოვრებაში, რომ .. საქმის სათავეში უფრო ფხიანი და გამბედავი მეთაურები მდგარიყვნენ, ვიდრე დღემდე ჰყოლია ჩვენს „საზოგადოებას“!..

მაგრამ ჩვენ აქ არ გამოვუდგებით დრამატიულ საზოგადოების გამგებელთა ნაკლულევანებათა აღნუსხვას.

ჩვენ დღეს გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, თუ რა გააკეთა ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დრამატიულ მწერლობისა და სასცენო ხელოვნების ასაღორძინებლად საქართველოში.

უეჭველია, როგორც ყველა ჩვენს დაწესებულებებს, დრამატიულ საზოგადოებასაც ბევრი შეცდომა ახლავს, უფრო შინაურულის ხასიათისა, და ყოველივე ეგ ამ უკანასკნელ ხანებში გამოჩნდა, როცა, როგორც ამბობენ, „განკითხვის დღე დადგა ყველასთვისაო“. მაგრამ შედარებით მაინც დრამატიულმა საზოგადოებამ უფრო მეტი შესძლო, ვიდრე მოსალოდნელი იყო ჩვენებურ ხალვათურს მართვა-გამგეობაში.

ამ ხუთიოდე წლის წინად, როცა ქართველობა დიდის ამბით დღესასწაულობდა ქართული თეატრის დაფუძნების 20 წლის იუბილეს, სხვათა შორის, თავადმა ილია ჭავჭავაძემ თავის მისასალმებელ სიტყვაში შემდეგი სახასიათო თვისება აღნიშნა ქართულის თეატრისა:

„თითქმის იმ დღიდან, როცა ჩვენი თეატრი დაიბადა, ფეხი აიდგა ჩვენმა ჟურნალ გაზეთობამაც,—სთქვა მან.—ამ მხრით ჩვენი თეატრი და ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა თითქმის ტოლები არიან და ჩვენ შემთხვევა გვაქვს ტოლმა ტოლს მიულოცოს და სადღესასწაულო სალამი ძმამ ძმას დაუყეფოს! შექსპირმა სთქვა: „არარაისაგან იქნების არარაიცაო“. ჩვენმა თეატრმა კი ცხადად დაგვანახვა, რომ შესაძლოა არარაისაგანაც იქმნას რამ. ამ ორმოცდაათი წლის წინად არა იყო-რა და ეხლა ვხედავთ, რომ ამ არ არაისაგან იქმნა ჩვენი თეატრი. მარტო ის, რომ იქმნა ჩვენი თეატრი, ეს ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის. საქმე ის არის, რომ იქმნა, გაიზარდა, გაძლიერდა და ორმოცდაათ წლოვან ასაკამდე მოიყარა. რამ მოახდინა ეს თითქმის სასწაული?-მხნეობამ და თავდადებულმა სიყვარულმა მამულიშვილობისამ. დიახ, მარტო მხნეობას შესძლებია არამც თუ არარაისაგან რისამე ქმნა, არამედ ქმნილის გაზრდა და გაძლიერება...“

რა თქმა უნდა, ჩვენმა თეატრმა თუ გაიხარა, მხოლოდ მხნეობისა და მეცადინეობის მეოხებით, მაგრამ უმთავრესად კი იგი აღორძინდა ქართული სცენის მუშაკთა თავგამოდებულის ჯაფითა და საქმიანობით. მართალია, ქართული თეატრის ბედ-იღბალი დავალებული ჰქონდა დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, მაგრამ ამ ოცდა-ხუთის წლის განმავლობაში ხშირად ყოფილა ისეთი დრო, როცა დრამატიულ საზოგადოებას, უსახსრობის მიზეზით, ვერ უმოქმედნია, და ყოველივე წვა-დაგვა საქმიანობის ცეცხლზე უგდნიათ მარტო რამდენსამე მსახიობთ, რომელთაც დღემდე არ უღალატნიათ იმ უმადური სცენისათვის, რომლის წყალობით არა თუ უსიამოვნება და წყენა,—შიმშილ-წყურვილიც მრავალგზით გამოუვლიათ და მაინც არ განშორებიან, ზურგი არ შეუქცევიათ,—პირიქით, ზედ შეჰბერებიან და ჯან-ღონით შეჰლევიან.

დრამატიულმა საზოგადოებამ ტფილისში კიდევ ასე თუ ისე მკვიდრ ნიადაგზე დააყენა თეატრის საქმე, მაგრამ პროვინცია კი უყურადღებოდ დასტოვა, და ეს ნაკლი ცოტად თუ ბევრად შეავსეს ქართველ მსახიობებმა თავიანთის მოგზაურობით და წარმოდგენების მართვით დაბა-ქალაქებში.

ქართველი საზოგადოება, ხალხის უმრავლესობა, არა თუ ამ ნახევარი საუკუნის წინად, ეხლაც კი ბევრს რაშიმე ძალზე უკან ჩამორჩენილია და მისი ჭკუა-გონება, აზრი და შეხედულობა ისევ ძველ აღმართზე, აზიურ მცნება-შეხედულობაზეა დამყარებული. ჰუმანიურ აზრებისა და პროგრესიულ მისწრაფებათა და იდეალების გაგება-შეთვისებაში ჩვენს ხალხს დიდად ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ქართული სცენა, მით უფრო, რომ წინად ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა შედარებით განვითარების დაბალ საფეხურზე იდგა და ამასთან მოკლებულიც იყო სცენასავით პოპულიარულ სახსარს. ჩვენის აზრით, თვით ჟურნალ-გაზეთების მკითხველთა რიცხვის გამრავლებაზედაც დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ თეატრს. ქართულმა თეატრმა და სცენამ უწინარეს ყოვლისა დემოკრატიულის ზვირთით განბანა ჩვენი საზოგადოება, როცა თეატრის დარბაზში თავი ერთად მოუყარა და ერთმანეთს გვერდში ამოუსვა გლეხი და თავადი, მუშა და არისტოკრატი, ღარიბი და შეძლებული, დიდი და პატარა.

პეტრე უმიკაშვილი, გულწრფელი მოყვარული და დიდი მოამაგე ქართულის თეატრისა, აი, სხვათა შორის, რას ამბობს თავის წერილში—„ქართული თეატრი და ლიტერატურა“ („მოამბე“ 1900 წ. № 1): „თეატრის ზრდა გადაბმულია სალიტერატურო ზრდასთან და კავშირი მეტად მჭიდროა. ქართული თეატრის დაფუძნების უმალ იწყება მოძრაობა მწერლობაშიაც.—ჩნდება წიგნებისა და ჟურნალების გამოცემა; სტამბა მკვიდრდება, მწერლები ჩნდებიან, ლიტერატურა მდიდრდება ევროპის კლასიკურ ნაწარმოებთა თარგმნითა. თეატრი ცხოველდება მოლიერის, შექსპირის, შილლერის და სხვა მსოფლიო დრამატურგების ნაწარმოებთა წარმოდგენით. ჩნდებიან მათი მიმბაძველი მწერლები; მსახიობნი იწვრთნებიან თამაშობაში და თვით წერაშიაც. ისინი ხდებიან ცოცხალნი მოკავშირენი მწერლობისა, მის გავლენის მომფენნი და მის მნიშვნელობის ჩამგონებელნი. მაყურებელი საზოგადოება თვალით მნახველი, გონებითაც ემცნაურება ევროპისა და ჩვენის მწერლების ნამუშევარსა. მაყურებელს საზოგადოებრივი ინტერესი ეღვიძება, გონება უფხიზლდება და ხდება თეატრისა და ლიტერატურის მეგობარი, შემნახავი და მზრუნველი“.

„ჩვენი თეატრის განახლების დროსთან შეკავშირებულია საზოგადოების გამოფხიზლებაცა. მოვიგონოთ ჩვენი კერძო საზოგადოებათა დაარსება: წერა-კითხვისა, სკოლისა და სხვათა... თეატრი შეიქმნა ერთ შესამჩნევ ღონედ, რომელმაც გამოაფხიზლა ჩვენი საზოგადოების ინტერესი საქვეყნო, საერთო საქმეებისადმი; საერთო ინტერესები თეატრმა თვისის ერის პიროვნების თვითცნობიერობის კარზე დააყენა იქამდე, რომ სახალხო ცეკვასა და სიმღერასაც კი მოძრაობა მისცა და ბოლოს სახალხო თეატრიც დააფუძნებინა...“

ეხლა განვიხილოთ, თუ როგორ იკიდებდა ფეხს ორიგინალი თუ ნათარგმნი დრამატიული ლიტერატურა. მეტად საინტერესოა ვიცოდეთ ამ ხნის განმავლობაში რეპერტუარის რაოდენობა, მისი ხასიათი და მიმართულება. ერთის საცენზურო კომიტეტისა და ორის დრამატიული საზოგადოების გამგეობის მიერ გამოცემულის სიიდან (ერთი 1901 და მეორე 1904 წლისა)—ნება-დართულ პიესებისა, სჩანს, რომ 1879 წლიდან დღევანდლამდე ქართულს რეპერტუარში ყოფილა სულ 397 პიესა, მათ შორის ორიგინალური პიესები 98, გადმოკეთებული-გადმოქართულებული 80 და ნათარგმნი 219 პიესა და ამათ გარდა ორი ორიგინალი ფეერია, ორი ოპერა და ორი ოპერეტი; სულ რომ ვიანგარიშოთ, პიესათა რაოდენობა 400 გადასცილდება. ეგ რიცხვი მაინცდამაინც დიდი არ არის, რადგან, საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ (400:25=16), ყოველ წლივ თექვსმეტი პიესა-ღა მომატებია ჩვენს რეპერტუარს! მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენი თეატრის საქმე ერთ ნაირის სიბეჯითით არ მიდიოდა მუდამ, მეტადრე დრამატიულ საზოგადოების მოქმედების პირველ ნახევარ ხანაში—1883 წლიდან თითქმის 1892 წლამდე, ოთხასი პიესა მაინც კარგს განძს შეადგენს ჩვენს რეპერტუარში.

მეტად ყურადსაღებია აგრეთვე ის პროცესი, თუ როგორ და რა გზით იზრდებოდა თანდათან, წლითი-წლობამდე ქართული რეპერტუარი. ასე, მაგალითად, 1879 წლიდან 1889 წლამდე, ესე იგი ათის წლის განმავლობაში, ნება-დართულ პიესების რიცხვი უდრიდა 105-ს ანუ წელიწადში $10^1/_2$ პიესას; ხოლო 1889 წლიდან 1893 წლამდე მოსულტებია (ოთხს წელიწადს) 68 პიესა, ანუ საშუალოდ წელიწადში 17 პიესა; შემდეგ კი 1893 წლიდან 1901 წლამდე, ესე იგი რვა წლის განმავლობაში, რეპერტუარი შევსილა 100 პიესით, ანუ საშუალოდ $12^1/_2$ პიესა წელიწადში; მაგრამ 1901 წლიდან დღევანდლამდე, ესე იგი ოთხის წლის განმავლობაში, ქართულ სცენას მომატებია 127 პიესა, ანუ საშუალოდ 32 პიესა ყოველ წლივ. ეს ციფრები განმარტებას არ თხოულობენ; აშკარაა, რომ, რაც დრო გადის, რეპერტუარი იზრდება და მატულობს.

ნება-დართული პიესები თავიანთის ხასიათით განაწილდებიან ასე: ტრაგედია, მელოდრამა და დრამა—170, კომედია და ფარსები—140 და ვოდევილები—90. საერთოდ ქართულ სცენაზე ამ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში წარმოუდგენიათ დაახლოვებით 330-მდე სხვადასხვა ხასიათის პიესა.

ორიგინალი და გადმოქართულებული პიესების ავტორთა რიცხვი ხსენებულის კატალოგით შეადგენს 62-ს, მათ შორის ოთხი ქალია. მთარგმნელთა რიცხვი კი გაცილებით მეტია და შეადგენს 88-ს, რომელთა შორის თერთმეტი ქალია.

საერთოდ ორიგინალურ, გადმოკეთებულ და თარგმნილ პიესების სიმრავლით კატალოგში პირველი ადგილი უჭირავს ვალერიან გუნია (39 პიესა), მეორე—ავ. ცაგარელს (25 პიესა), მესამე—ვასილ აბაშიძეს (17 პიესა), ივ. მაჩაბელს (10), კ. მესხს (10), დ. მესხს (11), ივ. მაჩავარიანს (8), კონ. ყიფიანს (9), აკაკი წერეთელს (9), დ. აწყურელს (8), ალექ. ქიქინაძეს (5), თ. შველიძეს (6), ი. ბაქრაძეს (5), ვ. შალიკაშვილს (5) და სხვათა.

რაც შეეხება რუსულ და ევროპიელ მწერალთა თხზულებათ, აღსანიშნავია შემდეგი. რუსის საუკეთესო მწერლები: გოგოლი, გრიბოედოვი, ლერმონტოვი, ჩეხოვი, ოსტროვსკი, სუხოვოკობილინი, ნაიდენოვი, პოტეხინი, დიაჩენკო, ტარნოვსკი, ა. სუმბათოვი და სხვა მრავალი—სულ 42 ავტორი,—გადათარგმნილია, რომელთა პიესა 70-ზე მეტია. ხოლო ევროპიელ მწერლებში ფრანგებში გადათარგმნილია: ვ. ჰიუგო, დიუმა მამა და შვილიც, მოლიერი, ბომარშე, კორნელი, სკრიბი, ჟირარდენი, ერკმან-შატრიანი, ლეგუვე, მელიაკ და ჰალევი, დენიერი, სარდუ, მელეილი, ჟორჟ ონე, ოქტავ ფელიე, პალიერონ ბელლო, თანამედროვე დრამატურგები მეტერლინკი, პოლ-ერვიე, ბრიე, მირბო, ფ. კოპე, ვაკერი და სხვა, რომელთა რიცხვი 32 ადის და პიესები 60-მდე აღწევს; გერმანელ მწერლებში გადათარგმნილია გეტე, შილლერი, გოლბერგი, ველდენბრუხი, გუცკოვი და თანამედროვე დრამატურგები იბსენი, სტრინდბერგი, ბიერნსენ—ბიერნსტონ, ბრანდეს, ფილიპი, რ. ფოსს, ერნსტ, შნიცლერ, ზუდერმანი, ჰაუპტმანი და სხვანი, რომელთა რიცხვი 16-ა და პიესები 35-დე. იტალიელ მწერლებში თარგმნილია გოლდონი, ფერიარი, ჯიაკომეტი, კამლეტი, მონტი, კასტელვეკიო, ბარბინი, რავეტი, ბარეტი, მატია ბონო; ისპანიელები: კანოიმაზას, დონ მონუელო, მარკო არაგა, ტამაიო; ინგლისელები: შექსპირი, ჯერომ-ჯერომი; ბერძნები—ევრიპიდი; სომხები—სუნდუკიანცი და აბელიანი და თათრებიდან: მირზა ფეტ ალი-ხან ახუნდოვი.

ყველაზე უფრო განმეორებით წარმოუდგენიათ ამ ოცდახუთის წლის განმავლობაში ავ. ცაგარლის „ბაიყუში“, „ხანუმა“ და „ციმბირელი“; დ. ერისთავის „სამშობლო“, გ. სუნდუკიანცის „პეპო“ და „ხათაბალა“, აკაკი წერეთლის „კინტო“, ყაზბეგის „არსენა“, გ. ერისთავის „ძუნწი“, „გაყრა“, ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება“, ვ. გუნიას „და-ძმა“, კ. მესხის „თამარ ბატონიშვილი“ და ნათარგმნი პიესები—„ორი ობოლი“—დენიერისა, „ჰამლეტი“—შექსპირისა, „ყაჩაღები“—შილლერისა, „უნდა გავიყაროთ“—სარდუსი და სხვა პიესები—„ალიაქოთი“, „ადვოკატთან“, „გულმა იგრძნო“, „შეშლილია“ და სხვ.

25 წლის განმავლობაში ტფილისში დაახლოვებით გაუმართავთ 800-მდე წარმოდგენა, მათ შორის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას—470-მდე წარმოდგენა, კერძო პირთა ამხანაგობას—75, მსახიობთა ამხანაგობას და კერძო პირებს—250-მდე. ეს წარმოდგენები იმართებოდა სეზონში, დიდ მარხვაში და ნაადგომევს. დრამატიულ საზოგადოებას თავისი მოქმედება პროვინციაშიაც გადაუტანია,—ქ. ქუთაისში სამი სეზონის განმავლობაში მოქმედებდა განყოფილება დრამატიულის საზოგადოებისა.

დასასრულ, საჭიროა მოვიხსენიოთ ქართული თეატრის შემოსავალი და ხარჯი ამ 25 წლის განმავლობაში. ორთაშუა რიცხვად თვითეულ წარმოდგენიდან, რომ ვიანგარიშოთ 300 მან. შემოსავალი (უდიდესი შემოსავალი არ ასცილებია 1,200 მან., უმცირესი—56 მან.), დაახლოვებით ამ ხნის განმავლობაში უნდა შემოსულიყო 240,000 მან. აქედან ნახევარზე მეტი უნდა ვიანგარიშოთ ხარჯად (თეატრის 120—150 მან. და სხვა წვრილმანი ხარჯები ორ თუმნამდე), დარჩება მსახიობთა სასყიდლად 100—110 ათასი მანათი, ანუ 4,000 მანათამდე წელიწადში მთელი დრამატიულ დასის შესანახად, ესე იგი იმდენი, რამდენიც ეძლევა ერთს კაცს სათავად-აზნაურო ბანკში—ბუხჰალტერს ანუ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში—სასწავლებლის გამგეს!..

**სცენის მოყვარე.**

## კროაცია უნგრეთში

**ზ. ავალიშვილისა.**

ავსტრიის იმ ნაწილებს, რომელთაც აქვთ მინიჭებული ავტონომია, მასთან ერთად „საკუთარი სახელმწიფო უფლება არა აქვთ“, ე. ი., მათში შემოღებულია თვითმართველობა, მაგრამ ისინი მაინც ემორჩილებიან სახელმწიფოს საერთო მთავრობას, რომელიც იმ საქმეებშიაც უწევს ხელმძღვანელობას, რომელიც მას პირდაპირ არა აქვს დავალებული.

ის განსხვავება, რომელიც ამგვარ პროვინციებსა აქვთ და იმ ავტონომიას, რომელსაც საკუთარი, თუმცა განსაზღვრული, სახელმწიფო უფლება აქვს მინიჭებული, ცხადად გამოჩნდება, როდესაც მას შევადარებთ კროაციის მდგომარეობას ავსტრო-უნგრეთში.

აქ საჭირო არ არის ამ ქვეყნისა და უნგრეთის შეერთების ისტორიას შევეხოთ. ორ მილიონ სლავიანთა ძველ ისტორიულ ტრადიციების წყალობით, აგრეთვე იმისთანა მამულიშვილების მოღვაწეობის წყალობით, როგორნიც ევროპაში

განთქმულნი ელაჩიჩი და შტროსმაიერი არიან, კროაციას მინიჭებული აქვს დამოუკიდებელი ცხოვრება, რომელსაც ბევრი უფრო დიდი და „ისტორიული“ ერები შურის თვალით შესცქერიან ამჟამად.

კროაციისა და უნგრეთის ურთიერთობა 1868 წ. შედგენილს ხელშეკრულობაში არის გამოხატული.

ამ შეთანხმებით დადგენილი ურთიერთობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ორთავე პარლამენტის შეთანხმებითვე საერთო იმპერატორის დამტკიცების შემდეგ.

უნგრეთის ნაწილები, კროაციაც, რასაკვირველია, „წარმოადგენენ პოლიტიკურს ერთეულს როგორც ავსტრიის წინაშე, ისე სხვა სახელმწიფოების წინაშეც“.

თვით კროაცია-სლავონია კი, კანონის სიტყვით, „პოლიტიკური ეროვნებაა, რომელსაც აქვს თავისი ტერიტორია, საკუთარი კანონმდებლობა და მთავრობა შინაგან საქმეების მოსაწყობად“.

უნგრეთთან საერთო კროაციას ისა აქვს, რომ ზოგიერთ საქმეების განხილვა, რომელიც მათ საერთოდ აქვს, შეადგენს უნგრეთის სეიმისა და მთავრობის მოვალეობას.

ეს საერთო საქმეები ძალიან ბევრი და ნაირნაირიცაა: პირველად, ის საქმეები, რომელნიც საერთოდ არის აღიარებული ავსტრიისა და უნგრეთისაგან 1867 წლის ხელშეკრულობის ძალით, აგრეთვე იმპერატორისა და მისი სასახლის შენახვა, სამხედრო კანონები, საფინანსო კანონები (პირდაპირ და არაპირდაპირ გარდასახადთა სისტემა და გარდაწყვეტა, მათი მოკრება და სხ.), საერთო ბიუჯეტის კონტროლი და დამტკიცება, ვალები, სახელმწიფო ქონებათა გამგეობა, მონოპოლიები და რეგალიები. საფინანსო საქმეებისათვის დაწესებულია საერთო საფინანსო ადმინისტრაცია, რომლის სათავეშიაც უნგრეთის ფინანსთა მინისტრი სდგას. საერთო საქმეებს ეკუთვნის აგრეთვე: ფულის ადებ-მიცემობა, ფულის სისტემა, საერთაშორისო ხელშეკრულობანი მთელის უნგრეთის შესახებ, კანონები ბანკების, კრედიტის, დაზღვევის, სავაჭრო და სამრეწველო საკითხების შესახებ, საზღვაო, სავაჭრო, საბაჟო უფლების საკითხები, სადამოკნო საქმე, ფოსტა, ტელეგრაფი, საზოგადოდ გზების შესახები კანონები, მართვა-გამგეობა იმ გზების შესახები, რომელიც საერთო არის უნგრეთისა და კროაციისათვის.

ამ საერთო საქმეებისთვის კროაცია საერთო მთავრობას აძლევს თავის შემოსავლის 56%, ე. ი. ნახევარზე მეტს, დანარჩენს (44%) თავის საჭიროებისათვის ინახავს. რომ უფრო კარგად დავაფასოთ კროაციის დამოკიდებულება უნგრეთთან, რომელსაც ბუდაპეშტის მთავრობის ჰეგემონია მოჰყვება, საჭიროა გავიხსენოთ, რომ კროაციას უნგრეთის დეპუტატთა პალატაში ჰყავს 40 წარმომადგენელი, მაგნატთა პალატაში—სამი, უნგრეთის მთავრობაში კი—საკუთარი მინისტრი უპორტფელოდ, რომელიც შუამავლად ითვლება მეფისა და კროაცია-სლავონიის ეროვნულ მთავრობის შუა.

ბუდაპეშტის სეიმში კროაციის წარმომადგენელნი მონაწილეობას იღებენ მხოლოდ იმ საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში, რომელიც 1868 წლის ხელშეკრულობის ძალით საერთო საქმეებად არის გამოცხადებული კროაციისა და მთელის უნგრეთისათვის.

ავსტრიისა და უნგრეთის საერთო საქმეების წარსამართავად უნგრეთის სეიმი ირჩევს დელეგაციას ანუ დეპუტაციას. კროატებს ამ დელეგაციაში ჰყავთ ოთხი წარმომადგენელი, მთელს იმპერიას კი—სამოცი ჰყავს.

იმ საგნების შესახებ, რომელიც არ წარმოადგენს უნგრეთის მთავრობისა და პარლამენტის მოვალეობას, კროაციას მინიჭებული აქვს სრული ავტონომია—როგორც საკანონმდებლო უფლების მხრივ, ისე აღმასრულებელის უფლების მხრივაც.

ეს ავტონომია მთელს შინაგან ადმინისტრაციას ეხება, აგრეთვე სარწმუნოებათა საკითხებს, საერო განათლებას და სასამართლოს.

ეროვნულ ავტონომიურ მთავრობის სათავეში სდგას **ბანი**, რომელიც ინიშნება ავსტრიის ხელმწიფის მიერ უნგრეთის მთავრობის წარდგენით და რომელიც პასუხისმგებელია ზაგრების სეიმის წინაშე, ე. ი. კროაციის საწარმომადგენლო კრების წინაშე. ბანი უნგრეთის მაგნატთა პალატაში მონაწილეობას იღებს.

ხელმწიფეს ამ ბანის მოხსენებას ურდგენს კროაციის საქმეთა მინისტრი, რომელსაც იმავე დროს შეუძლიან წარადგინოს თავისი შენიშვნებიც ამ მოხსენების შესახებ. თუმცა ზაგრების სეიმის კომპეტენცია უნგრეთის პარლამენტის-მიერ შეზღუდულია, მაგრამ დამოუკიდებლობა იმისთანა საქმეებში როგორც, მაგ., სამართალი და სახალხო განათლებაა, ძალიან ძვირფასია და საჭირო ერის თვითგამორკვევისათვის, რადგანაც უცხოელების უღელი ამ სფერაში უფრო მძიმედ ეჩვენება დამონავებულებს.

კროაცია-სლავონიის მთელს ტერიტორიაზე კროატების ენა არის ოფიციალურ ენად გამოცხადებული კანონ-მდებლობასა, ადმინისტრაციასა და სასამართლოში. ეს დადგენილება ეხება ავტონომიურ კროაციის მარტო საკუთარ დაწესებულებათ კი არა, არამედ საერთო მთავრობის აგენტებსაც, ე. ი. იმ უწყებათა წარმომადგენლებს, რომელნიც საერთონი არიან კროაციისა და უნგრეთისათვის. საჩივრები და პეტიციები, რომელიც უნგრეთის მთავრობას წარედგინება, იწერება ხორვატების ენაზე. პასუხიც ამავე ენაზე უნდა იყოს დაწერილი.

კროაციის წარმომადგენლებს შეუძლიანთ ისარგებლონ თავიანთ სამშობლო ენით ბუდაპეშტის სეიმშიაც, რომლის სასახლეზე სესსიების დროს უნგრეთის დროშასთან ერთად აგრეთვე კროაციის დროშაც ფრიალებს. გაბატონებულ უნგრელებისა და დანარჩენ ერების ურთიერთობას თვით უნგრეთში ჯერ საბოლოო სახე არ მიუღია. თვით კროატებიც მარტო ამ ავტონომიით არ კმაყოფილდებიან.

მაგრამ ჩვენთვის საჭირო იყო აქ აღგვენიშნა ის კი არა, რაც აკლიათ კროატებს, არამედ მხოლოდ ის, რაც იმათ აქვთ მიღებული ამჟამად.

# დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

**12 ივლისი.**

**სიმფეროპოლი**, 12 ივლისი. ციხეში ტუსაღებს თხრილი გაუკეთებიათ და გაპარულან. თხრილი ახლაც კი ვერ აღმოუჩენიათ.

**ბერლინი**, 11 ივლისი. „ლოკალ ანცეიგერი“ იმპერატორების შეხვედრაზე ლაპარაკობს და, სხვათა შორის, ამბობს: საფრანგეთისა და ინგლისის პრესსის აზრი, ვითომც გერმანიის იმპერატორი რუსეთის იმპერატორს დარიგებას მისცემსო, სიმართლეს მოკლებულია. გერმანიის იმპერატორი იმ აზრისაა, რომ მეზობელ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში არავინ უნდა ჩაერიოს. თუ ხელმწიფემ მას თავისი აზრი ჰკითხა, იმპერატორი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ხელმწიფის პრესტიჟი მხოლოდ ხალხის და მის ნდობაზე უნდა იყოს დამყარებული. ბიულოვის და ლამზდორფის დაუსწრებლობა იმას ამტკიცებს, რომ ლაპარაკი გერმო, მეგობრულ ხასიათისა იყო.

**ბერდიჩევი**, 12 ივლისი. გუშინ სამხედრო სასამართლომ ჟანდარმ დელეკის როტმისტრ მაჩკოვსკის მკვლელისთვის სამუდამო კატორღა გადაუწყვიტა.

**ლონდონი**, 12 ივლისი. რადგანაც ტაქტიკურ მოსაზრებათა გამო ოპოზიციამ გადაწყვიტა, კანცლერში მონაწილეობა არ მიეღო, ერთსმად გადაწყვიტეს სხდომა მეორე დღისთვის გადადოთ. სამინისტრო პარტიების წევრები სხდომაზე დიდი ხნის შემდეგ მოვიდნენ.

**ხარკოვი**, 12 ივლისი. „იუჟნი კრაი“ აცხადებს, რომ ცნობა თოთხმეტი ქალის მოკვლის შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

**კიევი**, 12 ივლისი. სამხედრო მოისმინა ჩვენება დექტარევის თავ-შესაფარში მომხდარ ამბის შესახებ და გადაწყვიტა, საქმე საოლქო სასამართლოს ზრალმდებელს გადასცეს. კერძო პირების დანაშაულობის გამორკვევა სარევიზიო კომისიას მიენდო.

**ყაზანი**, 12 ივლისი. საგუბერნიო სამმართველოს შეატყობინეს, რომ საერობო კრების შეამდგომლობა სასოფლო მეურნეობის შესახებ კითხვების გამართვაზე დაკმაყოფილებული არ იქნა, რადგანაც კითხვების ვადა არ არის აღნიშნული და ადმინისტრაციას არავითარი საშუალება არა აქვს კითხვებს თვალყური ადევნოს.

# რუსეთ-იაპონიის ომი

**დეპეშები.**

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

12 ივლისი

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშა ინფანტერიის გენერალის ლინევიჩისა 1905 წლის 11 ივლისის თარიღით: „დე-კასტრიდან იუწყებიან, რომ ოთხს საათზე ორი ნაღმიანი გემი მივიდა, ყუმბარა დაუშინა და მერე ისევ უკან გაბრუნდა“.

**ბერლინი**, 11 ივლისი. ბანკირი მენდელსონი, რომელიც ვიტტეს დიდხანს ელაპარაკებოდა, ბიულოვთან მოსალაპარაკებლად ნორდერნეიში წავიდა. ფიქრობენ, რომ ლაპარაკი რუსის სესხზეა, რომელიც გერმანიასა და საფრანგეთში უნდა მოხდესო.

**ტიანძინი**, 12 ივლისი. იაპონიის გავლენით ჩინეთმა ჯარში დიდი რეფორმები შემოიღო.

**გოძიადანი**, 12 ივლისი. ამბავი მოვიდა, რომ იაპონელთ დიდის გემების რაზმები, ალბად ჯარებით დატვირთულ ტრანსპორტებისა, დუეს პორტთან გამოჩნდნენ, სახალინზე. წინ ექვსი ნაღმოსანი მიუძღოდა. ოთხი მათგანი დუეს სადარაჯოს მიუახლოვდა და ნაპირს სროლა აუტეხა. სახალინის სამხრეთით იაპონელნი წინ ნელ-ნელა მიიწევიან. ადგილობრივ სხვა ტომის ხალხს აუკრძალეს ყოველგვარი მისვლა-მოსვლა და დამოკიდებულება რუსებთან, ხოლო თუ მაინც თავისი არ დაიშალეს, სიკვდილს დაემუქრნენ იაპონელნი. დრუჟინაში მყოფთ ხელი მიჰყვეს საპარტიზანო ბრძოლას, უსაფრდებიან და თავს ესხმიან იაპონელთა მოწინავე რაზმებს და მცირე შეტაკების შემდეგ მთებში იმალებიან. ჩასაფრებულთა ერთმა რაზმმა მოჰკლა 10 იაპონელი, რომელნიც დასაზვერად გამოიგზავნენ; შემდეგ ამავე რაზმმა მოჰკლა კიდევ 11 იაპონელი.

**სიტიაზა**, 12 ივლისი. როგორც ისმის, იაპონელნი ხშირ-ხშირად სცვლიან თავიანთ მოწინავე რაზმებს. ახალ-ახალი ჯარები სამხრეთიდან მოსდით, ძველები კი მიჰყავთ, როგორც ამბობენ, ვლადივოსტოკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ვლადივოსტოკი.** ვლადივოსტოკის ციხეში დიდი ალიაქოთია: სიმაგრეებს აკეთებენ, ზარბაზნებს სდგამენ, ჯარს სწვრთნიან, სურსათს ამზადებენ და სხ. იაპონელთა სიტყვით, ამჟამად ვლადივოსტოკში 50 ათასი მეომარი და ათასი ზარბაზანია. თუმცა ვლადივოსტოკში უფრო მეტი ჯარია, ვიდრე პორტ-არტურში იყო, მაგრამ იმის აღება იაპონელებს უფრო ადვილად შეუძლიანთ, ვიდრე პორტ-არტური აიღეს. მიზეზი ის არის, რომ პორტ-არტურის პოზიციები ბუნებრივადაც ძლიერი იყო და უფრო მაგრადაც იყო გამაგრებული. გარდა ამისა, პორტ-არტურს კარგი ფლოტი ჰყავდა, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა, ვლადივოსტოკში კი სამიოდე გემი და ათიოდე ნაღმოსანია. ამ ფლოტით რუსები ვერაფერს გაარიგებენ. სამხედრო სპეციალისტები სამართლიანად აფრთხილებენ რუსებს და ურჩევენ, დიდი იმედი ნუ გაქვთ ვლადივოსტოკისა, თორემ ეს ციხეც ისეთ ზარალს მოგაყენებთ, როგორიც პორტ-არტურმა მოგაყენათო. სახიფათო ის კი არ არის, რომ ვლადივოსტოკი ბოლოს და ბოლოს იაპონელებს დარჩებათ, არამედ ის, რომ ვლადივოსტოკი ლინევიჩსა და იმის ჯარს ხელ-ფეხს უკრავს. ლინევიჩი სულ იმას უნდა ეცადოს, რომ ვლადივოსტოკს მიეშველოს და ამიტომ იძულებული იქნება საქმე ისე წაიყვანოს, როგორც ვლადივოსტოკის დაცვის საჭიროება მოითხოვს. ეს მოვალეობა ხელს უშლის თავისუფალ მოქმედებას, რუსებს კი უამისოდაც აკლიათ თავისუფლება. ცუსიმის შემდეგ ვლადივოსტოკი, როგორც სამხედრო ბაზა და პორტი, გროშადაც არა ღირს. ლინევიჩს ადვილად შეეძლო ეს ახალი უღელი აეხსნა—დასავლეთისკენ დაეხია და იქ მოემზადებულიყო, მაგრამ იგი იძულებულია სწორედ ისე მოიქცეს რასაც გულის სიღრმეში არ თანაუგრძნობს. კუროპატკინმა მშვენივრად იცოდა, რომ შახესი და ლიაოიანის პოზიციებს ვერ შეინარჩუნებდა, მაგრამ მაინც ადგილიდან არ დაიძრა და იაპონელებს შეებრძოლა. ამით იმის დამტკიცება უნდოდა, ვითომ იგი პორტ-არტურის შველას აპირობდა. მერე კი, როცა იაპონელებმა პორტ-არტური აიღეს, კუროპატკინი ერთხელ კიდევ შეებრძოლა ოიამას, რასაკვირველია, იმ იმედით, ვითომ იაპონიის ჯარი რუსების ძლიერ პოზიციებს ვერ დასძლევს და ზედ კბილებს დაიმტვრევსო. ასეთია ლინევიჩის მდგომარეობაც. ლინევიჩმა კარგად იცის, რომ გირინსა და ჩანჩუნს ვერ დაიცავს და ბოლოს ხარბინიც იაპონელებს უნდა დაუთმოს, მაგრამ ვერას შვრება, რადგან უკან ვლადივოსტოკი აქვს, რომელსაც დაცვა და შველა უნდა. ცხადია, რომ ლინევიჩსაც ისეთივე დღე დაადგება, რაც კუროპატკინს დაადგა: დამარცხდება, განადგურდება, და მთელს მანჯურიას, და იქნება ამურის ოლქსაც, იაპონელებს დაუთმობს. ერთად-ერთი ხსნა ის არის, რომ ლინევიჩმა მთელი თავისი ბარგი-ბარხანა უნდა აიკიდოს, ხარბინს თავი მიანებოს და ბაიკალზე გადმოვიდეს (რ. ვ.).

**რამდენი ჯარი ჰყავს მარშალ ოიამას?** სამხედრო ოფიციალური გაზეთ „რუსკი ინვალიდის“ ანგარიშით, ამჟამად მანჯურიაში უნდა იყოს 840 ათასი იაპონელი მეომარი. აქედან 650 ათასი თვითონ ოიამას უნდა ჰყავდეს, დანარჩენი—ზოგი გენ. ხასეგავას, ზოგი პორტ-არტურში, ზოგი კორეაში და სხ. ამ გაზეთს არ ეთანხმება ცნობილი სამხედრო მწერალი პოლკოვნიკი გედკე, რომელიც ამტკიცებს, რომ ოიამას სულ 650 ათასი კაცი ჰყავსო (ნ. დ.).

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი, 13 ივლისი. ბოქაულის ესაიაშვილის დაჭრის შემდეგ ქალაქში ხმები გავრცელდა, რაღაც საშინელება უნდა მოხდესო. ამიტომ ბულვარი ეს მეორე დღე დაკეტილია. ქუჩებში და განსაკუთრებით ბულვარს გარშემო ერთმანეთის მოშორებით კაზაკები დგანან. ყველგან ყარაულებია დაყენებული, პოლიცია ხალხს ჰფანტავს, რომელიც ლალიძის დუქნის წინ გროვდება.**

# ახალი ამბავი

გუშინწინ, 12 ივლისს, ოლგას ქუჩაზე, [...]ევანის სახლის წინ, **ყუმბარით დასჭრეს ტფილისის პოლიცმეისტერი.** საქმე ასე იყო: დილის 8½ საათი იქნებოდა, როცა პოლიცმეისტერი [...]ლით ნამესტნიკთან მიემგზავრებოდა. როცა [...]ლი დაუახლოვდა მდივნის სახლს (დ. ზ. სარაჯიშვილის სპირტის ქარხნის ქვევით), ახალგაზრდა ყმაწვილი სტუდენტის ქუდით დაუახლოვდა ეტლს და ქუდი მოიხადა. მეეტლემ შეაჩერა ეტლი. [...] დროს ახალგაზრდა ყმაწვილმა ეტლს უკან დაახეთქა ყუმბარა, თვითონ კი გაიქცა. პოლიცმეისტერი ჩამოხტა ეტლიდან და რევოლვერი ესროლა, მაგრამ მუხლთ მოეკვეთა და იქვე ქვაზე ჩამოჯდა. ბოქაულის თანაშემწე, რომელმაც [...] დროს დაინახა ეს სურათი, პოლიციელებისა და მეეზოვეების დახმარებით, გამოუდგა ყუმბარის მსროლელს და „ბელვიუს“ ბაღის წინ შეიპყრო. გონ-დაკარგული დამნაშავე მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს. პოლიცმეისტერი სამ ადგილას არის დაჭრილი. დამნაშავე აღმოჩნდა სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა ლენტო ხერხეულიძე.

✦ მეტად საყურადღებო და გურულთა დამახასიათებელი ამბავი მოჰხდა ამ დღეებში სოფ. დვაბზუში (გურიაში). 1-ლ ივლისს ერთმა ბიჭმა მეზობელს ღვინით სავსე დოქი მოჰპარა. გაიგეს თუ არა ეს ამბავი, **მთელის სოფლის ბავშვებმა**—პატარა ქალებმა და ბიჭებმა—თავი მოიყარეს ერთად და **მიტინგი მოახდინეს;** მიტინგზე თვით პაწია ქურდიც დაიბარეს. დამნაშავემ ფიცი მისცა ამხანაგებს,—ამის შემდეგ ხასიათს გავისწორებ და არც არაფერს მოვიპარავ, არც არავის ვაწყენინებო. ბავშვთა კრებამ დანაშაული აპატია; ამის შემდეგ კრებამ დაადგინა: გაიჩინონ ბავშვებმა თავიანთთვის კასსა, სადაც თითოეულმა მათგანმა თითო შაური უნდა შეიტანოს თვიურად. როდესაც უწყებული თანხა შეგროვდება, ამ ფულით უნდა დააარსონ საყმაწვილო ბიბლიოთეკა და შეძლების გვარად დახმარება აღმოუჩინონ მეზობელ ბავშვ-ამხანაგებს-ობლებსა და ღარიბებს. თუ ვინიცობაა ამ დღ[...]

# ფელეტონი

**ის რაღას იტყვის?**

(ზღაპარი რუსულიდან)

ერთხელ ცხოველები შეიყარნენ საყურადღებო კითხვების გადასაწყვეტად: რა მიზანი აქვს იმათ ცხოვრებას დედამიწაზე, და რაშია ბედნიერება?

შეიკრიბა ყველაგვარი ქმნილება,—მხეცებიც, ფრინველებიც, თევზებიც, ქვემძრომნიც... ვინ მოფრინდა, ვინ მოირბინა, ვინ მოცურდა. ზოგი კიდევ მოცოცდა... შორით მცხოვრებლებსაც შიკრიკები გაეგზავნა.

დასხდნენ, დალაგდნენ, დაწყნარდნენ და საქმეს შეუდგნენ. ყველა ქმნილებას კითხვები ეძლეოდა, რომ თავისი აზრი წარმოეთქვა.

დათვი თავმჯდომარეობდა, ბატი ოქმებს სწერდა, ლეკვი და კნუტი კიდევ საერთო წესრიგს თვალ-ყურს ადევნებდა.

რა მიზანი აქვს ცხოვრებას და რაშია ბედნიერება?

— ცხოვრების მიზანი—შრომა და მოთმინებაა, წამოიყვირა ვირმა.

—ბედნიერება, რაღაშია?—შეეკითხა დათვი.

— ბედნიერებაა—იცოდე, რომ შენ ყველაზე გამძლე ხარ,—უპასუხა ვირმა.

ვირის აზრი ბატმა ჩასწერა.

— სიცოცხლის მიზანი—გუნებიერი, სიამოვნებითი ცხოვრებაა და ბედნიერება კიდევ—სხვისი არაფერი იცოდე, არ გეყურებოდეს,—წამოიღრუტუნა ღორმა.

— მთელი სიცოცხლე კვერცხები სდო, წიწილები სჩიკო და მით, უმეტესად,—აღზარდო,—აი ცხოვრების მიზანი; ბედნიერება კი—დედობრივი სიამაყე,—დაიკაკანა ქათამმა,—სხვა გვარი ბედნიერება არ არსებობს.

— კა-კა-კა!—გაჯავრებით შენიშნა შოშიამ ქათამს.

— სიამაყე, გინდ დედობრივიც—დიდი ცოდოა და სირცხვილიცაა ამის არ ცოდნა, ქალბატონო! ყველამ უწყის შენი სისულელე: ორიოდე სიტყვის გადაბმა ვერ მოგიხერხებია და ყბედობ რაღაც ალ—რდზა—ზე!...

— ბრიყვო! განა არ შეგეძლო პიროვნებას არ შეხებოდი?—დაიყვირა თუთიყუშმა:—აი ბრიყვი!.

დათვმა ორივენი დააშოშმინა.

— ცხოვრების მიზანი—თავისუფლებაა და ბედნიერება იმაშია, რომ შიმშილით სული არ ამოგხდეს; ანუ ერთი მეორის მაგიერ:—ცხოვრების მიზანი იმაშია, რომ შიმშილით სული არ ამოგხდეს და ბედნიერება—თავისუფლებაა, როგორც გნებავდეთ... სთქვა მოქუშვით მგელმა.

— თვითგანვითარება—აი მიზანი სიცოცხლისა,—სთქვა მაიმუნმა: და ბედნიერება კიდევ —ხედავდე, რომ შენ სიცოცხლეს ფუჭად არ ჩაუვლია...

— ხელოვნება—აი ცხოვრების მიზანი,—სთქვა პრიჟინამ—ხელოვნებაზე მიღმა არაფერი სდგას! ბედნიერება—ეს იმის შეგნებაა, რომ უკვდავი მხოლოდ ხელოვნებაა და დანარჩენი კი ჩირად არა ღირს,—დაუმატა მან მედიდურად.

—პატარა და ყოჩაღია!—დაცინვითა სთქვა დათვმა. საფლავის მატლმა სთქვა:

— ცხოვრების მიზანი—ყოველივეს დანგრევა, მოსპობაა. ბედნიერება—იყო ის, რაცა ხარ, და შეჭამნა შენივე მგზავსი. ყოველივე ჩვენთვის, მატლებისთვის არის შექმნილი,—განმარტა მან.

— ცხოვრების მიზანი—თავის განწირვაშია,—უცბად შესძახა ლიფსიტა თევზმა: მთლად სხვისთვის—აი რაშია სიცოცხლის მიზანი...

— ბედნიერება?—შეეკითხნენ მას.

— ბედნიერება შენი დანიშნულების აღსრულებაშია...

— გინდა აყროლდე კიდეც,—უკბინა ლიფსიტას ქარიყლაპია თევზმა.—მაშ გაუმარჯოს ლიფსიტას!

ამგვარ ქცევისთვის ქარიყლაპიას ხმა წაართვეს.

— სიცოცხლე უმიზნოა და ბედნიერება არც არის და არც შეიძლება იყოს,—სთქვა უცბად იაბო ცხენმა.

— მაგას არ გეკითხებოდნენ,—შენიშნა დათვმა; მაინც იაბო ცხენის აზრიც შეტანილ იქმნა.

— გიყვარდეს ყველა—აი სიცოცხლის მიზანი, სთქვა რწყილმა.

— ბედნიერება რაშია?

— პირად ბედნიერებაზე შეიძლება ლაპარაკი მაშინ, როცა ჩვენ გარშემო ამდენი უბედურება არსებობს და როცა უბედნიერესიც კი შეგიძლია ყველაზე ძლიერ გააუბედურო?

— შეხე იმას!—შემოუშვენით სთქვა დათვმა.—ჩასწერე?—შეეკითხა ის ბატს.

— ემ საათში!—უპასუხა ბატმა.

— სიცოცხლის მიზანი—ულონო, უძლურის დაცვაშია,—დაიწყო მელამ...

ყველას გაეცინა, რადგან მელას კარგათ იცნობდნენ

— მე მხოლოდ მინდოდა მეთქვა, რომ ყოველთვის უნდა ამოირჩეს უფრო მოზრდილები, —გაისწორა მელამ.

— აი, ეგ სწორეთა სთქვი,—შენიშნა ბატმა.

ყველა გამხიარულდა...

— მე იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ,—წყენითა სთქვა მელამ და კრებიდან გავიდა.

— დაეხმარო სხვას—აი მიზანი სიცოცხლისა,—სთქვა მონადირე ძაღლმა,—ბედნიერება—გააკეთო ის, რასაც პატრონი გეტყვის, გაათავა იმან რწმენით.

— ეგ იქნება უანგარობაა, მაგრამ ამასთანავე ბედასლობაცაა,—შესწივლა ღამურამ, რომელსაც მაშინვე სინათლე მოაკლეს და თავდაღმა ფეხებით ჩამოჰკიდეს. ამის და მიუხედავად, ღამურამ თავის რწმენას არ გაუღალატა.

— ცხოვრების მიზანი—ცოდნის შეძენაა, იცოდე ის, რაც სხვამ არ იცის, და ბედნიერება—იცხოვრო სხვის ზურგ მოფარებით,—სთქვა გუგულმა.—მე მგონი აქ გულ-ახდილათ შეიძლება ლაპარაკი... დაუმატა მან ბოლოს.

— არავის შეუძლია იცოდეს ცხოვრების მიზანი —სთქვა ბაღლინჯომ:—იცხოვრე, გამრავლდი და შემდეგ გამოჩნდება... დიახ, ასეა, ჩემო ბატონებო!..

— მაშ, როგორც თქვენი ნათქვამიდან სჩანს, არც იმის ცოდნა შეიძლება, თუ რაშია ბედნიერება,—ჰკითხა დათვმა.

— ბედნიერება იმაშია, რომ ხანგრძლივ იცოცხლო,—უპასუხა ბაღლინჯომ.

— სიცოცხლის მიზანი:—შეუმსუბუქო სხვას ტანჯვა-წვალება,—სთქვა წურბელამ,—ბედნიერება კი—გრძნობდე შენ სარგებლობას.. რომ ჰქმნი კეთილს...

— მე გამიგონია, რომ ყველა არსება, სამუდამო კანონებით, ღვთისთვისა სცხოვრობს,—სთქვა ძერამ.—ბედნიერება კიდევ იმაშია, გააკეთო ის, რის უნარიცა გაქვს...

— ფიხ! წიწილები იტაცე! თვალები სწიწკნე! დამიხედე წმინდა—ნსლვთისთვისაო!—შესძახა ქორმა, რისთვისაც კრებიდან გაძევებულ იქმნა.

— სიცოცხლის მიზანია—ჩაიდინო უკანონობა და შედეგ შეინანიო, ბედნიერება კი—მოიპოვო საუკუნო ცხოვრება,—სთქვა კიბომ—განდეგილმა.

— შენ კი სცხონდები და სხვები რაღას იზმენ?—ჰკითხა დათვმა.

— ქვეყნის საქმე მე არ მეხება, საკუთარი ცხოვრება ყველაზე უტკბესია...

ჩასწერეს.

— სიცოცხლის მიზანია—ყველასთან სიმართლე მიგიძღოდეს,—სთქვა წყლის კიბომ.

საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო, რომ სიმართლე, როგორც ყველა სხვა გვარი სათნოებანი, არ შეიძლება თავისად სიცოცხლის მიზანი იყოს რა თქმა უნდა, რომ ყოველი ღირსეული ქმნილება მართლის მოყვარე და გულშემატკივარი უნდა იყოს. ამის ახსნა იმიტომ დავინახე საჭიროდ, რომ ზოგიერთ წინად ჩაწერილ აზრსაც ადევს აღნიშნული ნაკლი. მე გავათავე.

დათვი დაჯდა და თვალებით ძებნა დაუწყო კიბოს, მაგრამ უკანასკნელმა, თავმჯდომარის ლაპარაკის დროს, თავი დაახწია.

კამათი ცოტა ხნით შესწყდა. წაკითხულ იქმნა წერილი ლომისა, რომლის მოსაწვევათაც ზღარბი იყო გაგზავნილი.

ლომი იწერებოდა:

„სიცოცხლის მიზანი—უფლების ქონაა და ბედნიერება—ძალა, გაბედულობა და სახელი“.

— აი ნამდვილი აზრი!—გაიფიქრა გოშიამ, თუმცა ეს ხმა-მაღლივ არ უთქვამს. ის, როგორც საზოგადოდ ყველა გოშია-ძაღლი, ზრდილობიანი იყო.

— საიდან იწერება ლომი?—ცნობისმოყვარეობით იკითხა ვირმა.

— ყაფაზიდან... ის ზოოლოგიურ ბაღშია... ძლივს მოვნახე,—სთქვა ზღარბმა.

— ყველანი იქ მოვხვდებით, — ამოხვნეშით სთქვა დათვმა...

ლომის წერილი კრების ჟურნალში ჩააკერეს:

— შენ რისთვის-და სცხოვრობ ქვეყანაზე, ტურფავ?—მიმართა დათვმა იქვე მჯდომ ბაყაყს...

— ა-არ... ვიცი...—უპასუხა იმან მორცხვად:—მე... ბუზებს ვიჭერ... და ამინდის შეცვლას ვატყობინებ,—უცბათ გაახსენდა ბაყაყს.

— ეგიც საქმეა!—ღიმილით სთქვა დათვმა.

— ჩავწერო?—იკითხა ბატმა.

— ჩასწერე,—უთხრა დათვმა.

— ეძიო სიმართლე,—აი სიცოცხლის მიზანი,—დაიწყო თხუნელამ...

— რა-ო-ო?—გაიკვარვა დათვმა:—შენ ხომ ბრმა ხარ!?

— უწინ თვალ-ხილული ვიყავ,—ვათვალიერებდი, ვეძიებდი სიმართლეს და თვალები წამიხდინე; ახლა კი ვტყობილობ შეხებით. უფრო უმჯობესათაც კი.

— მერე, მერე! ბედნიერება რაღაშია?

— ბედნიერება—ეს იმაზე ფიქრია, რომ ოდესმე იპოვნი სიმართლეს...

თხუნელას გამარჯვება უსურვეს და იმისი აზრი ჩასწერეს.

— აბა, კიდევ ვინ რას იტყვის,—იკითხა დათვმა.

— ადამიანსაც ჰკითხეთ,—ურჩია მაიმუნმა.

— მართალს ამბობს! ჩვენ ადამიანი სრულებით დაგვავიწყდა! ნეტავი ის რაღას იტყვის?—ახმაურდნენ დამსწრენი.

— საინტერესოა!—სთქვა ვირმა.

— კაცი ხომ ქმნილება არ არის, რათ გვინდა იმისი აზრი?—უცბად წამოიძახა გუგულმა.

— რაც შექმნილ-გაჩენილია, ყველა ქმნილებაა,—შენიშნა ვილამაც კრებიდან,—რომ დიდი ულხარ სხვის ზურგს უკან ყბედობა!

დათვმა მოიხმო ძაღლი, ზღარბი, ვირთაგვა და უბრძანა ქალაქში გაქცეულიყვნენ და პირველს რომელი ადამიანიც კი შეხვდებოდათ, პასუხი მოეთხოვათ შემდეგ კითხვებზე: რა მიზანი აქვს ცხოვრებისა და რაშია ბედნიერება?

ძაღლი, ზღარბი და ვირთაგვა გაიქცნენ.

— გესმით, არ შეგეშალოთ!—მიაძახა მათ დათვმა.

გათენებისას ქალაქში მივიდნენ. ქუჩებში არავინა სჩანდა, ყველას ეძინა.

— დილამდე ჩვენც შევისვენოთ,—სთქვა ძაღლმა: ახლა არავინ მოჩანს.

დასასვენებლად ადგილის რჩევას შეუდგნენ ღობის ძირთან. ამ დროს სიმღერის ხმა მოესმათ, რომ მიიხედეს—მათკენ მომავალი ქალი დაინახეს. წითელ შლიაპიანი, თმა გაწეწილი, [...] ტალახში მოთხვრილი... მობარბაცებდა, [...] ღეროდა და თან ღობეს ეყრდნობოდა...

— არყის სუნი ამოსდის,—სთქვა ძაღლმა.

— ეგ რა ჩვენი საქმეა? დაგვაბარეს—შეეკითხ[...]

შინილებას რომელიმე მათგანი არ შეასრულებს, კრების გარდაწყვეტილებით, ბოიკოტი უნდა გამოუცხადონ ასეთ ურჩ ამხანაგს.

✦ შაბათს, 16 ივლისს, კავკასიის ნამესტნიკის თავმჯდომარეობით სასახლეში დაიწყება კრება ერობის შემოღების თაობაზე. კრებაზე, გარდა სხვა წარმომადგენლებისა, მიწვეულნი არიან ყველა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები.

✦ დღეს, 14 ივლისს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დაიწყება საჯარო ვაჭრობა იმ მამულებისა, რომელიც წინანდელ ვაჭრობაზე გაუყიდავი დარჩა.

✦ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორად ახლად დანიშნული ვ. სტაროსელსკი.

✦ ქალაქის გამგეობის წევრმა ენფიანჯიანცმა მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას. თავის მოხსენებაში ენფიანჯიანცი ამბობს: რადგანაც ამჟამად ქალაქის სხვადასხვა ნაწილშია გაფანტული ქალაქის ზოგიერთი დაწესებულებანი, ქალაქის თავისუფალ ალაგზე საერთო შენობა ავაგოთ და ეს დაწესებულებანი ყველა ერთად მოვათავსოთო. ქალაქის გამგეობამ დაავალა ქალაქის ტეხნიკოსს ამ საქმის გეგმა შეადგინოს.

✦ ქალაქის სამოსწავლო კომისიამ დაადგინა: მასწავლებელთა არჩევნები აგვისტოსათვის გადასდოს და სკოლათა გაწესრიგებაც მის დაარსების დაგვარად უნდა მოხდეს.

✦ ტფილისში ამჟამად იმყოფება პეტერბურგიდან ჩამოსული გურევიჩის გიმნაზიის აღმზრდელი ივანე ნიჟარაძე, რომელსაც ტფილისის მუზეუმიდან ეტნოგრაფიულ კოლლექციების შეკრება აქვს დავალებული.

✦ ბაქო-ბათუმამდე გამართული ნავთის საყვანი, რომელიც თიბათვის პირველს უნდა დამთავრებულიყო, საერთო გაფიცვებისა გამო, მომავალ წლის პირველ იანვრამდის ვერ დამთავრდება. ნავთის საყვანმა მოქმედება მხოლოდ სადგურ დუვანნისა და აჯიქაბულს შუა დაიწყო.

✦ ახლად დანიშნულ საქართველოს ეგზარხოსს ნიკოლოოზს ამ თვის 22 მოელიან (ნ. ო.).

✦ ამ თვის 11-ს დ. ცხინვალში. ივ. გივ. ამილახვრის ბრძანებით, გლეხები შეუკრებიათ. გენ. ამილახვარს წინადადება მიუცია გლეხებისათვის ყურს ნუ უგდებთ სხვადასხვა პირებს და მოსულ კაცებსაო. გლეხებს უთქვამთ, თუ არ შეგვისრულეთ, რასაც გვპირდებით, ჩვენ არც ერთი გადასახადის თავი არა გვაქვსო.

✦ როგორც დ. ხონიდან გვატყობინებენ, გუშინ, 13 ივლისს, ადგილობრივ ტაძარში, დიდძალ ხალხის თანადასწრებით, გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ცნობილ პუბლიცისტის ილია ლუკას ძის ბახტაძის სულის მოსახსენებლად.

✦ საქარის სანერგეს მოქმედება მუშათა გაფიცვების გამო დროებით შეჩერებულია.

✦ 10 ივლისს ბაქოს ციხეში დატუსაღებულთ მარტიროს ჩერუხჩიანს და ხაჩატურ ოვანესიანცს ჩაბარეს საბრალმდებლო ოქმი, რომლითაც იმათ სამხედრო სასამართლოში გაასამართლებენ ბაქოს ყოფილ გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მოკვლის განზრახვისთვის (ბ.).

✦ როგორც სოფ. ზანკორიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ, იქ ამ დღეებში ისეთი სეტყვა და ნიაღვარი ყოფილა, რომ მთელი სოფელი ვაუნადგურებია. მინდორი, ბაღები, ვენახები და ბოსტნები მთლად წაულეკია, საქონელი და წვრილფეხობა ნიაღვარს წაუღია.

✦ კავკასიის ნამესტნიკის წინაშე ტერ-ელიშიანმა და ტერ-ასტვაწატურიანმა შუამდგომლობა აღძრეს ყოველ-თვიურ ჟურნალის გამოცემის შესახებ. ჟურნალი გამოვა სომხურ ენაზე და სახელად „მატენაგეტი“ (ბიბლიოგრაფი) ერქმევა.

✦ გლეხთა მოძრაობისა გამო კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი წრეულს აღარ ჰგზავნის საფილოქსერო პარტიას.

✦ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს მთავარმა დეპარტამენტმა კრედიტი 20 ათასი მანათით შეუმცირა. ეს ფული კავკასიაში სამეურნეო ტიპის სკოლების და საქარის სანერგესთან სასწავლებლის დაარსებას უნდა მოხმარებოდა.

✦ კავკავის რკინის გზაზე, ბესლანსა და როსტოვს შუა, საერთო გაფიცვა დაწყებულა და მიმოსვლა შეჩერებულა. ფოსტა ოდესაზე იგზავნება.

✦ სამშაბათს, 12 ივლისს, ტფილისის გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების კრებაზე უნდა აერჩიათ სკოლის გამგე კომიტეტი და სხვადასხვა კომისიები, მაგრამ არჩევნები არ შესდგა. სკოლის გამგე წევრებად კრებამ ბარათებით დაასახელა შემდეგი პირები: კნ. მარ. ვახ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, ს. ვირსალაძე, გრ. გაბაშვილი, ვ. ყიფიანი, გრ. დიასამიძე, ალ. დიასამიძე, ნიკო ელიავა, ალ. ყანჩელი, პარ. გოთუა, ვას. რცხილაძე, ივ. მაჭავარიანი, გრ. რცხილაძე და სხვა, მაგრამ კრებაზე დამსწრე პირებმა ყველამ უარი განაცხადეს. ბოლოს კრებამ კომიტეტის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია კნ. მარ. ვახ. ჯამბაკურ-ორბელიანისა და დაადგინა, ეთხოვოს მას, მიიღოს ეს თანამდებობა. დანარჩენ წევრთა არჩევნები მეორე დღეს საღამოს 8 საათისთვის გადაიდო.

✦ როგორც „კავზ.“-ი გადმოგვცემს, ჩრდილოეთ ოსეთის სამრევლო სკოლების მასწავლებელნი ყველა სამსახურიდან დაუთხოვნიათ, და მათ ადგილს მღვდლები ჩაუყენებიათ; თითოეულ მღვდელს წელიწადში ჯამაგირად 240 მანათი მიეცემა.

✦ სურამიდან გვატყობინებენ, გენერალი ამილახვარი და კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს წევრი ჯუნკოვსკი, გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლებითურთ, 8 ივლისს სურამში მისულან და სოფლის სამმართველოში სხვადასხვა სოფლებიდან ხუთ ხუთი გლეხი დაუბარებიათ. სულ სამოცდაათ კაცამდე. მოლაპარაკების შემდეგ, გენ. ამილახვარს უთქვამს, ამოირჩიეთ 15 კაცი და ნამესტნიკთან ქალაქში გაგზავნეთო. ეს დეპუტაცია იმ ღამესვე ქალაქში ჩამოვიდა და მეორე დღეს ნამესტნიკს წარუდგა.

✦ ამ თვის 12 ქალაქის ქუჩების მომკირწყვლელ კომისიას კრება ჰქონდა. ამ კომისიას წარდგენილი ჰქონდა რამდენიმე პროექტი სხვადასხვა კაცებისაგან კავკასიაში თლილის გრანიტის ქვის კარიერის დაარსებისათვის. ამ პროექტთა შორის კრებამ მოიწონა და მიიღო ამხანაგობა „გეორგიას“ გამგის ბ-ნ იასე რაჭველის პროექტი და ორი მილიონი ცალი ქვა შეუკვეთა.

✦ სიმონ მურადოვმა, რომელსაც მეხუთე საპოლიციო უბანში აქვს სახლები, თავის მდგმურ-ოქრომჭედლებს 25% დაუკლო დუქნის ქირა. ეს დაკლება ორთავე მხრის შეთანხმებით მოხდა. სულ მის სახლებში 4 დუქანია.

✦ კავკასიაში ქრისტ. აღმ. საზოგადოების გამგეობამ ას-ასი თუმანი გადასდო შემდეგ ეკლესიების დასამთავრებლად: ნამაღალევისა ტფილისში და შულავერის, ხოლო 800 მანათი კალმახურის ეკლესიისათვის (სიღნაღის მაზრა). ამავე საზოგადოებამ ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიის სჯულის მოძღვარს ნ. პოკროვსკის 500 მანათი აძლევა ახალ წიგნის გამოსაცემლად, რომელიც შეეხება საქართველოს ისტორიას რუსეთთან შეერთებამდის.

✦ ტფილისის საკომერციო სასწავლებლის მათემატიკის მასწავლებლად ამ სასწავლებლის საბჭომ მოიწვია მაიკოპის მექანიკურ-ტეხნიკურ-სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი ეკერმანი, რომელმაც სრული თანხმობა განაცხადა ამ თანამდებობაზე.

✦ სოფელ სიონში (ხევი) საიად იუსუფმა სასიკვდილოდ დასჭრა ხანჯლით ამ სოფელში დროებით მცხოვრები სპარსელი პაშედ-არდიხა.

✦ 13 ივლისს სადგურ ტფილისზე მატარებელმა გასრისა დარაჯი მიზუკოლაშვილი.

✦ სოფელ კუსულაურთან მდინარე სურამის პირას იპოვეს სამი თათარის გვამი; როგორც ეტყობა ძალად არიან მოკლულნი.

✦ სავაჭრო სკოლა ენკენისთვიდან გადადის თავის საკუთარ შენობაში, ავლაბარში.

## გენერალ-გუბერნატორის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია ტფილისში წესიერების დამცველ ჯარების მიმართ.

### I სამსახურის წეს-რიგი.

8) სამსახურის აღსრულების დროს ყველა ჯარის კაცებს გარეშე ხალხთან ლაპარაკი ეკრძალებათ, განსაკუთრებით შეპყრობილ წესიერების დამრღვევთან, როდესაც მას მიაცილებენ. ეკრძალებათ აგრეთვე გარეშე პირისაგან რამე სანოვაგე, ან ფული მიიღონ.

10) სამსახურის აღსრულების დროს ჯარის კაცი არავის არ აძლევს სამხედრო სალამს (ჩესტს), მაგრამ თუ ისეთი პირი ჩამოივლის, რომელსაც სხვა დროს ვალდებულია სალამი მისცეს, უფროსის უკომანდოთ ჯარის კაცი მშვიდად უნდა გამიეჭიმოს.

### II ვალდებულებანი, რომელნიც წესიერების დასაცველად ჯარის კაცებმა უნდა აღასრულონ.

1) ის ჯარის კაცები, რომელთაც ქალაქში წესიერების დაცვა აქვთ დავალებული, ვალდებულ არიან დაიფარონ: პირნი საელმწიფო მოხელენი, ქალაქის მკვიდრნი და აგრეთვე ხაზინისა თუ კერძო კაცის ქონება.

2) ამისათვის ისინი მოვალენი არიან შეიპყრან და პოლიციას გადასცენ ყველა, ვინც კი პიროვნებისა თუ მისი ქონების ვნებას მოიწადინებს, სახელდობრ: ყველა, ვინც იარაღით ვისმეს დაეცემა, დაემუქრება, თუნდა მხოლოდ სიტყვით, ვინც ცეცხლის წაკიდებას დააპირებს, მაღაზიებისა და სახლების შუშებს ჩაამტვრევს, რომელიმე სახლში ძალით შესვლას მოიწადინებს, თოფისა თუ რევოლვერის სროლას დაიწყებს.

3) წესიერების ზემოდ აღნიშნულ დამრღვევთა გარდა უნდა შეიპყრან და პოლიციას გადასცენ ყველა, ვინც ქუჩებში შეკრებისა და უწესოების მონაწილე იქმნება, ვისაც გუბერნატორის ნება-დაურთველად სასროლი იარაღი ექმნება, ან ხმალ-ხანჯალი, პატრონები, დაფარული იარაღი, როგორც შუბიანი ჯოხებია, საცერულები, მსხვილი ჯოხები და სხ... ვინც მოვაჭრეებს აიძულებს დუქნების დაკეტვას, ძალას დაატანს ვისმე მუშაობის შესაჩერებლად, მატარებლებისა და ეტლების მოძრაობის შემჩერებელნი, ვინც პოლიციის, სამხედრო პირთა კანონიერს მოთხოვნილებას არ შეასრულებს, ყველა, ვისაც კი რამენაირად ან რითიმე საეჭვოდ მიიჩნევენ.

4) წესიერების დამრღვევნი თუ პოლიციასა ან ჯარის კაცებს გაუძალიანდებიან, ძალით უნდა დაიმორჩილონ. თუ უწესოების მომხდენნი იარაღს იხმარებენ, ჯარს ნება აქვს სროლა გაფრთხილების მიუცემლად დაუწყოს.

5) ჯარს იარაღის ხმარების ნება ეძლევა, თუ წესიერების დამრღვევი პირი გაქცევით თავის შველას შეეცდება, და მისი მდევარი პოლიციელი თუ ჯარის კაცი ვერ წამოეწევა.

6) გარეშე პირნი, რომლებიც სამსახურის აღმასრულებელ ჯარის კაცებს ლაპარაკს დაუწყებენ, ჯარის კაცთა უფროსმა უნდა გააფრთხილოს და თუ არ მოშორდნენ, შეიპყრას და პოლიციას გარდასცეს.

7) შეპყრობილთა ან მათის სახლების გაჩხრეკვა პოლიციის მოხელეთ ევალებათ; ჯარის კაცები ამ შემთხვევაში მხოლოდ პოლიციელთ დამცველნი არიან და ურჩობის დროს, ძალითა და იარაღით უნდა დაიმორჩილონ იგინი.

12) შენიშვნა. სამხედრო პირთა უკანონო ქცევის გამო დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ ხოლმე სამხედრო ნაწილების უფროსებს.

13) უკეთუ ფანჯრებიდან, ან აივნებიდან სროლა დაიწყეს, ჯარის კაცებს ნება აქვთ გაუფრთხილებლად სროლა აუტეხონ ამ სახლებს და უეჭველად შეიპყრან ყველა იმ სახლებში მყოფნი.

14) ქუჩებში ხალხის შეჯგუფების დროს, უნდა მოსთხოვონ რომ დაიშალნენ. უკეთუ ამ მოთხოვნილებას არ აასრულებენ, უფროსმა უნდა გააფრთხილოს, რომ თუ სამჯერ გაფრთხილების შემდეგაც (ქუდის დაქნევით, დასტვენით, თუ დაძახებით) არ დაიშლებიან, იარაღს მიმართავს. ამ გამოცხადების მერეც თუ არ დაიშალა ხალხი, ჯარს სროლის ნება ეძლევა.

51) იმ შემთხვევაში, თუ თავმოყრილი ხალხი ჯარის კაცებს იარაღით, ან ქვის სროლით დაემუქრება, ან ვისზედმე ძალმომრეობა იხმარა, ან ვისიმე ქონებას შეეხო, ჯარის კაცებს გაფრთხილების გამოუცხადებლად იარაღის ხმარების ნება ეძლევათ.

17) მთავრობისა, საზოგადო თუ კერძო სახლებთან დაყენებული პოსტები (ყარაულები) მოვალენი არიან, თვალყური ადევნონ, რომ ცეცხლის წაკიდება ან სხ. რამ არავინ გაბედოს. უკეთუ ამ შენობებს აშკარად თავს დაესხმიან, ყარაულებმა იარაღით უნდა მოიგერიონ ისინი.

## პრესსა

გაზ. „ნოვაია ზარია“ აცხადებს, რომ საჭირო იქმნეს გამოცხადებული ენების თანასწორობა, ურომლისოდაც თავის მოტყუილება იქმნებოდა თვითმართველობის შემოღება რუსეთის განაპირა ადგილებში.

„მთავრობას მართლა თუ უნდა სახელმწიფო წესწყობილების გაუმჯობესება და ხალხის უმთავრეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება,—საერობო და საქალაქო თვითმართველობაში უნდა მოსპოს ყველა ის განკარგულება, რომელიც ხელს უშლის ენების თანასწორობას.

ხალხს მხოლოდ მაშინ შეუძლია საერობო და საქალაქო თვითმართველობის მოქმედებას თვალ-ყური ადევნოს, როდესაც მისთვის გასაგებ ენაზე იქმნება საქმის წარმოება, როდესაც ამ თვითმართველობაში მონაწილეობის მიღება შეეძლება იმათაც, რომელთაც არა აქვთ ბედნიერება თავის დედაენის გარდა სხვა ენაც იცოდნენ. უამისოდ საერობო და საქალაქო თვითმართველობა ხალხისთვის უცხოდ დარჩება, გარედან მოვლენილად, და ხალხი მათ ისევე მოეკიდება, როგორც ახლანდელ ბიუროკრატიას.

ენების თანასწორობა აუცილებელი რამეა. ენების თანასწორობის პრინციპი სახელმწიფოში ახლავე უნდა აღიაროს თამამად ყველამ, ვისაც სახელმწიფო წესწყობილების გაუმჯობესება ენატრება გულწრფელად.

## რუსეთი

ჟენევაში მისულან მატუშენკო და კოვალენკო და მიუტანიათ განცხადება, რომელზედაც ხელი უწერიათ „პოტიომკინის“ აჯანყებულ მატროსებს. განცხადება იგივე პროგრამაა ახალ დასისა, რომელსაც იარაღი არ დაუყრია და მომავლისკენ იცქირება (რ. ს.).

✦ „პოტიომკინის“ 15 მატროსი რუმინიაში ერთ ქარხანაში შესულა მუშებად. ერთ დღეს ეს მატროსები რუსეთის აგენტებს რუმინიის სავაჭრო გემზე გაუტყუებიათ, დაუთვრიათ, შეუკრავთ და რუსეთის მთავრობისთვის გადაუციათ (რ. ს.).

✦ 6 ივლისს ცარსკოე სელოში მისულა სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი, რომელსაც არქ. მანდრიტი ნიკანდრი ეპისკოპოსად უნდა ეკურთხებინა. სადგურზე პობედონოსცევს თავს დასცემია ერთი უცნობი, რომელსაც ბრაუნინგის რევოლვერით მისი მოკვლა უნდოდა, მაგრამ მეორე უცნობს მოუსწვრია და მისთვის ხელი შეუშლია (რ.).

✦ „დეილი ქრონიკლს“ ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ: პეტერბურგიდან გამოგზავნილ მოხელეთა ანგარიშით, ლოძში მომხდარ ამბების დროს მოკლულ იქმნა 500-ზე მეტი და დაიჭრა 1000-ზე მეტი კაცი. დაპატიმრებულ იქმნა 600-ზე მეტი კაცი (პრ.).

✦ ლოძში სამხედრო სამართალში მისცეს ასზე მეტი კაცი, რომელთაც ბარიკადების გამართვა და ყუმბარების სროლა ბრალდებათ (პრ.).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს ატყობინებენ: ჟავშნოსან „პოტემკინის“ ამჯანყებელნი, „ოცთა კომიტეტის“ წევრნი, პრაპორშჩიკის ალექსეევის მეთაურობით, ჟენევაში წავიდნენ. დანარჩენები აქეთ-იქით გაიფანტნენ და მიიმალნენ. რუმინიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ზემოხსენებულ გაზეთის კორესპონდენტს უთხრა: ჩვენ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდით, მაგრამ მაინც კარგად გადავწყვიტეთ ეს საქმე. ისე რომ არ მოვქცეულიყავით, როგორც მოვიქეცით, „პოტიომკინი“ ან ჩვენ ქალაქს მიანგრევდა, ან რუსეთის ფლოტს შეებრძოლებოდა და, უეჭველია, კარგ დღეს არ დააყრიდა“.

✦ რუსეთისა და უცხოელთა დამზღვევი საზოგადოებები უარს ამბობენ იმ ზარალის გადახდაზე, რომელიც ოდესაში მომხდარ ამბების დროს მიაყენეს კერძო პირებს. დაზარალებულნი დამზღვევ საზოგადოებებს ჩივილს უპირობენ. საზოგადოებები კი ამბობენ, თუ სასამართლომ გაგვამტყუნა, ჩვენ მთავრობას ვუჩივლებთ, რადგან მთავრობამ კერძო საკუთრება არ დაიცვა. საერთო ჯამი ზარალისა 60 მილიონ მანათამდე ადის (რ. ს.).

✦ „ენდეპანდ ბელჟ“-ს ბუხარესტიდან (რუმინიის დედა-ქალაქი) ატყობინებენ: ოკეანეს გემთა აგენტებმა „პოტემკინ“-ის მეზღვაურებს შეატყობინეს, თუ გინდათ, ამერიკაში უფასოდ წაგიყვანთო (რ.).

✦ როგორც ვიციო, მობილიზაცია, სხვათა შორის, ლიფლიანდიის გუბერნიაშიაც მოხდა. ამის გამო სხვადასხვა საიდუმლო კომიტეტებს მებრძოლთა რაზმები შეუდგენიათ, რომელნიც ტყე-ღრეებში იმალებიან, გზებს დარაჯობენ და, თუ ომში გაწვეული სალდათები დაინახეს, თავს ეცემიან და უკანვე აბრუნებენ. ამის გამო ლიფლიანდიის გუბერნიიდან ძლივს მოგროვდა ნახევარი იმ ჯარისა, რამდენიც უნდა მოგროვილიყო (რ. ს.).

✦ პოლიციის დეპარტამენტში ცვლილება ხდება, ერთი დირექტორის მაგივრად დააყენებენ ორ დირექტორს. ერთს ებარება პოლიტიკური საქმეები, მეორეს—ინსპექტორისა და ფულის საქმეები. პოლიტიკურ საქმეების გამგედ იქნება პოლიციის მინისტრი ტრეპოვი (ჩ. პ.).

✦ ცნობილი გენერალი დრაგომიროვი ძალიან ავად არის. მისი მორჩენის იმედი არა აქვთ (ნ.).

✦ მოსკოვის გრადონაჩალნიკის, გრაფ შუვალოვის მკვლელის შესახებ პოლონური გაზეთები იუწყებიან: დიდ მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის მოკვლის შემდეგ, სხვათა შორის, შუვალოვის მკვლელიც დააპატიმრეს, მაგრამ რადგან საკმაო საბუთები არ ჰქონდათ, ისევ გამოუშვეს და პოლიციის სასტიკ ზედამხედველობას ჩააბარეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დააპატიმრეს, მაგრამ მან დარაჯები მიიმხრო, სამხედრო ტანისამოსი გადაიცვა და გაიპარა. 1 პოლიციელი და 2 სალდათი, რომელთაც გაქცევა უშველეს, ამ ჟამად დაპატიმრებულნი არიან. ამბობენ, შუვალოვის მკვლელს დიდ მთავრის მკვლელის, კოლიაევის, შურისძიება ჰქონდა დავალებულიო (პ. კ.).

✦ ტამბოვში ერთ გლეხს ფოსტით ყუთი მოუვიდა. გახსნის დროს ყუთმა იფეთქა და რამდენიმე კაცი დასჭრა. ამბობენ, ყუთი შეცდომით მიუვიდა გლეხსაო (ჩ. პ.).

## თეატრი და ხელოვნება

მიმდინარე წელს საფრანგეთის საარტისტო დარბაზში გამართა ჩვეულებრივი გამოფენა. ამ გამოფენაზე საფრანგეთის გამოჩენილ არტისტების ნაწარმოებთან ერთად გამოფენილი იყო ქ-ნი დიანა არდუთინსკი-დოლგორუკოვის ერთი ნაწარმოები—„დიანა“-ს ქანდაკება, რომლის შესახებ ჟურნალ „les femmes du XX siecle“-ის ივნისის ნომერში ვკითხულობთ: „ქ-ნი არდუთინსკი-დოლგორუკოვი მეფის (?!) ჩამომავალია, ლამაზია, ამასთან თავის თავი ხელოვნებისთვის შეუწირავს. დღეს ჩვენის დიდის სიამოვნებით და აღტაცებით ვუძღვნით ჩვენ გაზეთის კალოხებს ამ ახალგაზდა ქალს, რომლის ნიჭიც გამოსახულა ერთ ერთს მის ნაწარმოებში. მისმა „დიანა“-მ აღტაცებაში მოიყვანა [illegible] ჩვენი კრიტიკოსები, რომელთაც არ დაიშურეს და ამ ნაწარმოების ავტორს [illegible]

ქ-ნი დიანა ჯერ ოცის წლისა არაა და არტისტთა შორის უკვე შესამჩნევი ადგილი უჭირავს. ფრანგულს ჟურნალში მისი სურათიც არის მოთავსებული.

## კორესპონდენცია

**ქ. ახალციხე.** მე მგონი, ქართლის არც ერთ სოფელშიაც არ იყოს ისეთი სიჩუმე გამეფებული, როგორც ქალაქ ახალციხეშია. იმ დროს, როცა ყველა გაიტაცა დიდმა მოძრაობამ, როცა ყველა ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს სასურველ მომავალის მოსამზადებლად, ახალციხელები გაჩუმებულან, განზე გამდგარან, თითქოს ცხოვრების კმაყოფილნი იყვნენო.

სოფლებშიაც აღარა ისმის-რა. ამას წინად დაწყებული პატარა აგრარული მოძრაობა წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული და მაშინვე ჩაქრა, და ახლა მთელი მაზრა თითქო ისევ ძველებურ საღათის ძილს მოუცავს.

შიგ ახალციხეში მცხოვრებლების უმრავლესობა სომხები, მერე ქართველები, ურიები, ცოტა რუსებიც არიან. ამ ერთად მცხოვრებ ერებს არაფერი საერთო არა ეტყობათ-რა. ყველა განზე მიიწევს, ყველას თავისი „მე“ აწუხებს. ქართველები სომხების ნახევარსაც არ შეადგენენ თითქმის, მაგრამ ქიშპობაში კი თავიანთ მეზობლებს ძალიან გაადაჭარბეს. იმის მაგივრად, რომ ეს პატარა ჯგუფი ქართველებისა შეერთებულიყო, თანხმობით ემოქმედნა და დაახლოვებოდა სხვა თავის მეზობლებსაც, დაიყო პარტიებად (თუ შეიძლება, მხოლოდ პარტია ვუწოდოთ) და თითო მათგანი ცდილობს თავისი გაიყვანოს, კინკლაობით საქმე გაიტანოს, მეორე მხარე გააშაოს. მერე ნეტა რამე საბუთი მაინც ყოფილიყო?

აქ იმართება ქსენონი, ღარიბ ავადმყოფთა თავშესაფარი, ექიმის გ. ღოღობერიძის თაოსნობით. აზრი, როგორც ხედავთ, მშვენიერია, მაგრამ... გაჩნდა უთანხმოება იმაზე, თუ სად მოვაწყოთ შენობაო. დაიბადა პარტიობა და მითქმა-მოთქმის, ჭორიკნობის საქმეც გაიჩარხა. ამბობენ, ერთმა ამ „პარტიათაგანმა“ შეაგროვა ქსენონისათვის რვა თუმანი, მაგრამ უთანხმოებისა გამო აღარ გადასცა დანიშნულებისამებრო. მიუხედავად ამისთანა დაბრკოლებისა, პატივცემულმა ექიმმა მაინც მიიყვანა დაწყებული საქმე სასურველ ბოლომდის, და ახლა ბევრი ღარიბი და უპატრონო ავადმყოფი ლოცავს მას.

ახლახან, აქაურ კლუბის დარბაზში, 21 ივნისს, გაიმართა წარმოდგენა. შემოსავალი უნდა მოხმარებოდა ამ ქსენონის ავეჯის ყიდვას. წარმოდგენილ იქმნა „უბედური ნაბიჯი“ კარეევისა. საერთო მწყობრმა, გვარიანმა თამაშმა კარგად იმოქმედა საზოგადოებაზე რომელიც კარგა ბლომად დაესწრო. საკონცერტო განყოფილებაც გახლდათ, იმანაც გვარიანად ჩაიარა. შემოსავალი, როგორც ამბობენ, 150 მანათი დარჩენიათ. იმედია, ამ სიმპატიურ დაწესებულებას აქაური საზოგადოება ჯეროვანის ყურადღებით მოეპყრობა, ცოტა ხნის შემდეგ „პარტიობით“ სიცოცხლეს არ მოუსპობს და დროზე აღმოუჩენს ხოლმე საჭირო დახმარებას, მით უმეტეს, რომ ეს ქსენონი მხოლოდ მისგან ელის ცხოვრების სახსარს და სხვის არაფრის იმედი არა აქვს.

ამ დღეებში აქ ხმა გავრცელდა, აქაურ სამკითხველოს სასარგებლოდ მალე წარმოდგენა იქნება გამართულიო. საზოგადოება ამ ამბავს როგორღაც ცივად მიეგება. ამის მიზეზი, როგორც ამბობენ, საზოგადოების უკმაყოფილება ყოფილა: ამ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ამდენა ფული იკრიბებაო და კი ვერაფერს ვერა ვხედავთო. 600 მანათი ჰქონდა სამკითხველოს და, იმის მაგივრად, რომ კასსაში შეეტანათ, კერძო პირებში გაასესხეს, რომლებმაც წაიღეს და აღარ დაუბრუნესო... საჭიროა, სამკითხველოს გამგემ დაამშვიდოს საზოგადოება და გაზეთის საშუალებით აუწყოს მას, სად არის ეს ამდენა ფული.

მგზავრი.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ბ-ნო რედაქტორო, გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგს ჩვენს განცხადებას.

ჩვენ, სოფ. ენგრეთში მცხოვრებნი მემამულენი: ივანე მიხეილის ძე და მიხეილ ივანეს ძე მაჩაბლები, განთავისუფლებთ წლეულობით გლეხების ნადელების გადასახადისაგან, ვუთმობთ უსასყიდლოდ ტყეს, საძოვარს და საწყლის პიროს—ქვას და ქვიშას. ამას გარდა ვაცხადებთ, რომ არ თანავუგრძნობთ თავადაზნაურთა შეიარაღებულს რაზმს.

**თ-დი ივანე მიხეილის ძე მაჩაბელი, თ-დი მიხეილ ივანეს ძე მაჩაბელი.**

### II

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მიბოძეთ გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემის უდროვოდ დაკარგულ შვილის ევტიხი მამინაიშვილის ამხანაგებს და მეგობრებს, რომელთაც თავიანთის თანაგრძნობის გამოცხადებით: დასაფლავებაზე დასწრებით, წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ გვირგვინის სამაგიეროდ ფულის შეწირვით თუ წერილობით პატივი სცეს მისს ხსოვნას.

მწუხარებით დამწვარი დედა ევტიხისა—**მართა მამინაიშვილისა.**

### III

„ივერიის“ მე-99 ნომერში მოხსენებულია, რომ ნიკოლოზ მეგრელიშვილი, რომელიც მოსამსახურედ იყო ჩემდამო რწმუნებულ მცირე-წლოვან დამნაშავეთა კოლონიაში, ვითომ გაზეთის კითხვისათვის ადგილიდან დამეთხოვოს და თანაც მეთქვას: „რა შენი საქმეა გაზეთის კითხვა, შენ იატაკი უნდა სწმინდო და არა გაზეთი იკითხოვო“.

მეგრელიშვილი ჩვენთან მოსამსახურობდა თებერვლის პირველიდან ამა წლის თიბათვის რვამდის, ე. ი. ოთხი თვე და რვა დღე, და პირველ დღიდანვე კითხულობდა გაზეთს და სწორედ ჩემს საკუთარ გაზეთს, მაგრამ გაზეთის კითხვა

---

ხოლო, ვინც პირველად შეგხვდეთ,—დაიწმუილა ვირთაგვამ.

— ეს პირველი და უკანასკნელი ხომ არ არის,—სთქვა ზღარბმა, მაგრამ იმის შენიშვნა მეტილი იყო. ქალთან ძაღლმა მიირბინა და შეეკითხა:

— მადამ! არ შეგიძლიათ გვიპასუხოთ ორ კითხვაზე: რა მიზანია ცხოვრებაში და რაშია ბედნიერება?

ქალმა სიმღერა შესწყვიტა, სახე მათკენ მოიბრუნა. თვალის კილოები ჩალურჯებული ჰქონდა.

— შემიძლია,—უპასუხა ქალმა.—ცხოვრების მიზანი საზოგადოებისთვის სამსახურია და ბედნიერება—დასვენებაა სამსახურის შემდეგ,—სთქვა მან და ატირდა.

— გაიგეთ? შეეკითხა ზღარბი ამხანაგებს.

— კარგი, ჰო! გავიგეთ! შენ თითონ არ გადარიო,—წაიბუტბუტა პასუხად ძაღლმა და ყველანი უხვენებლივ, სირბილით გზას გაუდგნენ.

მოირბინეს და ყოველივე უამბეს. ქალის აზრიც ოქმში ჩასწერეს. უცბად მამალმა შეჰყვირა:

— ერთი ამათ შეხედეთ! ყურადღებას აქცევენ ვილაც ქალს და ისიც გალექილს! ძაღლი ამბობს, ორყის სუნი ამოსდიოდა, სიარულის დროს ლობეს ეყრდნობოდა და წითელი შლიაპა ეხურაო... თქვენც ადამიანი გამოძებნეთ რაღა! ვაი თქვენა!.. და ოქმში შეტანილი ქალის აზრი წაშლილ იქმნა.

— ხომ საჭიროა, კაცი რას იტყვის,—ამბობს მამონი.

— გაეშურეთ უმალ ქალაქში,—ღრიალებდა ვირი,—მალე!

— ჩვენ დავიღალენით, ახლა შენ გაიქეც,—შენ ჩვენზე ჩქარიცა ხარ,—უპასუხა ძაღლმა.

— ხედავთ, ხედავთ,—შესძახა გუგულმა:—კაცი მოჩანს! კაცი!

— მართლაც, შორით, ტყის პირად მოჩანდა გლეხი, რომელიც მიწასა ხნავდა. ყველა ხროვით იმისაკენ გაეშურა, ყველას უნდოდა გაეგო, კაცი რაღას იტყოდა.

ქშენით მიირბინეს. ნახეს: ღონიერ ხელებით გლეხს სახნისი უპირავს, უქუდოა, თავს აქნევს, თმები თვალებში ჩამოფაფხია...

გლეხთან ახლოს მივიდა დათვი და შეეკითხა:

— ვეთხარი: რისთვისაა სიცოცხლე და რაშია ბედნიერება?

გლეხმა მუშაობა შეაჩერა.

— რა გინდათ?

გაუმეორეს: რათა სცხოვრობ და რაშია ბედნიერებაო?

გლეხს გაეცინა: სისულელეს მეკითხებიანო!

— სიცოცხლე საჭიროა შრომისთვის და მოთმინებისთვის,—დაიწყო იმან დარიგების კილოთი...

— ეგ ვირმა უკვე სთქვა,—უპასუხა ყველამ.

გლეხი სახტად დარჩა, არ მოელოდა ამგვარ პასუხს, ეტყობოდა პირველად შეკრთა. შემდეგ დაფიქრდა და უპასუხა:

— ღმერთისთვის ვცხოვრობთ, კანონის თანახმად, ვის როგორც შეუძლიან... ღონეს ახმარს.

— ეგ ძერამაც სთქვა! ტყავი გააძრო ცოცხალსაც და მკვდარსაც! ნუ მიედ-მოედები, სინდისიერად ილაპარაკე!—შეხავლა მელამ, რომელიც მეორედ შერევიყო კრებას.

— ჩვენ უგონო ქმნილებანი ვართ, შენ კი—ადამიანი!—ეუბნება გლეხს დათვი,—შენ გონებით ხარ დაჯილდოვებული, მაგრამ ვირს და ძერას ედარები! ყველა ქმნილებას თავისი გარკვეული მიზანი უნდა ჰქონდეს დედამიწაზე. გრცხვენოდეს! ნუ თუ შენც შენი არაფერი გაქვს?

— შენ შენი სთქვი! რისთვისა სცხოვრობ?—ისმოდა ყოველ მხრიდან.

— მაცადეთ! რას შემხუთეთ?—გულმოსულად სთქვა გლეხმა,—მაცადეთ, მოვიფიქრო, მოვისაზრო...

— პირველად რაღათ დაიკინებოდი?—შეეკითხა დათვი,—მაშ მოიფიქრე, მოგიცდით...

ყველა დაჯდა და ცდა დაუწყო; ზოგი მათგანი ბუჩქების ქვეშ რკალივით მოიკუნტა.

— მხოლოდ გვაცადენს,—სთქვა ბატმა,—სხვას ვისმე შევეკითხებოდით. ერთისთვის ყველამ ვიცადოთ...

— არა უშავს-რა, ცოტა კიდევ მოვუცადოთ, გულკეთილ ღიმილით მიუგო დათვმა,—დეე, იფიქროს.

გლეხმა იფიქრა, იფიქრა, შემდეგ დაბეჯითებით თავი გაიქნია და გადმოსძახა:

— თქვენ, ეი, ქმნილებანო! გეყურებათ თუ არა!

ქმნილებანი წამოცვივდნენ და ყურები აცქვიტეს...

ნეტავი ეხლა რას იტყვის?

ვინც გამოიცნობს, ის ბედნიერი იქმნება.

გ. ახალციხელი.

მისთვის არასოდეს არ დამიშლია. ჩემდამი რწმუნებულ ახალშენში არიან კიდევ სხვა მოსამსახურეებიც, რომელნიც, თუ მოცლით არიან, მეგრდიჟანაშვილზე ბევრით ბეჯითები არიან წიგნებისა და გაზეთების კითხვაში; მათში ბევრი ისეთია, რომლებიც, აგერ სამი წელიწადია, ჩემთან იმყოფებიან, მოცლილ დროს გაზეთსაც კითხულობენ და წიგნსაც, თუ კი ხელში იგდეს. მათთვის გაზეთი თვითონ წამიკითხნია და მიმიცია კიდეც წასაკითხავად და საკვირველია, მეგრდიჟანაშვილი—ისეთივე მოსამსახურე, როგორც სხვები,—რატომ უნდა დამეთხოვნა გაზეთის კითხვისათვის. არა, მიზეზი დათხოვნისა სულ სხვა იყო: მეგრდიჟანაშვილს თავისი მოვალეობა არ ესმოდა და მასთან საშინელ უზრდელობასაც იჩენდა, რაიც შეიქმნა იმისი დათხოვნის მიზეზი.

ივანე მალალაშვილი.

## ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

13 ივლისი.

**მოსკოვი**, 12 ივლისი. მოსკოვის მდაბიო მოქალაქეებმა წინადადება მისცეს მოქალაქეთა გამგეობას, გენერალ ლინევიჩს გაუგზავნოს დეპეშა და იმედი გამოსთქვას,—რუსეთის მხედრობა ისე არ დაეცემა, რომ ვისმე ნება მისცეს რუსეთისთვის სამარცხვინო ზავი ჩამოაგდოსო.

**გოძიადანი**, 12 ივლისი. ჩვენი სადარაჯო ადგილი მონგოლიის საზღვრამდეა გაჭიანურებული ვაკით. აშკარად მოჩანს იაპონე თა კარავქოხები. იაპონელთ ცხენოსნები ვეფხივით მარდად დააჭენებენ ცხენებს. ჩვენსა და იაპონელთა ადგილებს შუა წყნარად მუშაობენ ჩინელები. საზოგადოდ ისეთი სურათია, რომ აქ ომს ვერავინ წარმოიდგენს. ღრე-ხევებში სადარაჯო ადგილებზე იაპონელი და რუსი დარაჯები ერთმანეთზე ახლო სდგანან. დილითი და საღამოთი ერთმანეთს თოფს ესვრიან. ყოველ-დღე დაჭრილთა რიცხვს ემატება. წავიწევთ თუ არა ცოტას წინ, იაპონელები შეუბრძოლებლად იწევენ უკან თავიანთ სადარაჯოებისაკენ, საიდანაც საჩქაროდ იფანტებიან. ამ სადარაჯოებს იქით რა ადგილას არიან იაპონელნი დაბანაკებულნი, არა სჩანს. ბევრს ადგილას შორით მოსჩანს იაპონელთა პატარა ბანაკები და კარვები; იმათ სამზარეულოდან კვამლი ამოდის. რკინის გზის აღმოსავლეთით მთებია. სადარაჯოები გამართულია მაღლობებსა, ხეობებსა, ხევებსა და ყველგან, საიდანაც კი შესაძლოა გზებზე თვალყურის ჭერა. ჩრდილოეთისაკენ არავის აჭაჭანებენ. ჩინელები სოფლებიდან გაიხიზნენ. დამუშავებული მინდვრები ღვთის ანაბარადაა მიტოვებული. გორაკებიდან მოსჩანან ჩასაფრებული იაპონელი დარაჯები. ჩანტუფუდან ნანჩენძიმდე მთიანი ქედები იაპონელებს აქვთ გამაგრებული და ეს სიმაგრეები მრისხანედაც გამოიყურებიან. მთის მაღლობებზე გარკვევით მოსჩანს იაპონელთა სანგარ-თხრილები. ჩვენს სადარაჯოებს მთებზე მომეტებულად მოხალისენი იცავენ. მოხალისენი იაპონელთ ზიზღით უყურებენ და ხშირად დიდის სიხარულით სათითაოდაც შეებმევიან ხოლმე.

**პარიზი**, 13 ივლისი. გუშინ რუვიემ ვიტტე ინახულა და ერთ საათს ესაუბრა. ვიტტე დღეს დილით პარიზიდან მიდის.

**ტოკიო**. აამორიდან დეპეშით იტყობინებიან, 464 სახალინზე დატყვევებული რუსი პოლიციონელი გაგზავნესო. იმათ, ვისაც ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ, იოკოგამას გზავნიან.

ოფიციალურად აცხადებენ, იაპონიის ჯარმა ჩრდილო კორეაში დაიჭირა ადგილები პიერენსა და სიპუნშანას შორის. ამბობენ, რუსეთის ჯარს ტუმენის ხეობაში 40,000 მეომარი მიემატაო.

ამერიკის სამხედრო მინისტრი ტაფტი და ალისა რუზველტი, პრეზიდენტის ასული, იოკოგამას მოვიდნენ, გულითადი მიმგებლები დახვდათ. ტოკიოში მიკადო საგანგებო აუდიენციას დაუნიშნავს.

**ლონდონი**. ყველა იმ აზრისაა, რომ ამჟამად რუსეთს არ შეუძლიან მიემხროს ვისმე ან უკმაყოფილება გამოიწვიოს გერმანიაში იმით, რომ პირად შეხვედრას მოერიდოს. რუსეთი იძულებულია ყველა სახელმწიფოებთან კეთილი განწყობილობა იქონიოს.

**ვილნო**, 12 ივლისი შეიპყრეს უმაწვილი კაცი. რომელმაც განაცხადა—აპრამოვიჩი ვარო, უპოვნეს 22,000 მთავრობის საწინააღმდეგო შინარსის წიგნაკი, იარაღის საწყობი, შტამპის ასოები და გექტოგრაფები.

**სევასტოპოლი**, 12 ივლისი. სავარჯიშო ესკადრა, კონტრ-ადმირალ კრიგერის უფროსობით, ტონდარუსკენ გაემართა.

**ბერლინი**, 12 ივლისი, ხელმწიფეთა შეხვედრის შესახებ „კელნიშე ცაიტუნგი“ შენიშნავს: უაზრობა იქნება ვიფიქროთ, ვითომ გერმანიის იმპერატორს ერჩიოს რუსეთის იმპერატორისათვის იაპონიასთან ომისა და რუსეთის შინაურ ცხოვრების რეაქციონულ პოლიტიკის განგრძობა. ამისი გადაწყვეტა მხოლოდ რუსეთის მეფის საქმეა. რაც შეეხება გერმანიას, იგი ძლიერ მოხარული იქნებოდა, თუ რუსეთის მთავრობა კანიერ საშუალებით თავის ქვეყანას ააცილებდა გასაჭირს და მის წინსვლას უზრუნველ ჰყოფდა. ამას მოითხოვს, როგორც გერმანიის ინტერესები, აგრეთვე გერმანიის იმპერატორის მეგობრული განწყობილება რუსეთის საიმპერატორო გვარეულობისადმი.

**მადრიდი**. მეფემ ბერლინისკენ მოგზაურობა გადასდო. ამბობენ, საფრანგეთის მოსახათრად, რადგან ზირველად დანიშნული დროს სედანის ბრძოლის დღესასწაული შეხვდებოდაო.

**ბერლინი**. «ლოკალ ანცეიგერი» ამბობს მეფეთა შეხვედრის გამო, თუმცა მათი საუბრის შინაარსი არ ვიცით, მაგრამ დაბეჯითებით ითქმის, რომ დიდმნიშვნელოვან საპოლიტიკო საგნებზე ქქნებოდათ თათბირიო. ორივე მეფე კმაყოფილნი არიან ერთმანეთის ნახვით.

**სოფია**. გერმანელთა ორმა ბანკმა საერთო ბანკის დაარსება განიზრახა სოფიაში მომავალ შემოდგომაზე, გერმანელთა მრეწველობის წასაქეზებლად.

**რომი**. იტალიის მთავრობამ მტკიცე ნოტა ჩააბარა პორტას მეკედონელთა თავგასულობის გამო წითელ ზღვაზე.

**პეტერბურგი**. გამოცხადდა კონვენცია სავალდებულო სამედიატორო სასამართლოს შესახებ რუსეთსა და დანიის შორის.

დროებით რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

## განცხადებანი


### ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც,

**ნაწერები**

**პეტრე უმიკაშვილისა**

**გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.**

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.

ფასი 30 კაპ.

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მან დანიშნა ვაჭრობა ამ წლის 15 ივლისს იჯარით გასაცემად ქალაქის მიწის სამის ნაჭრისა, მე-10 საპოლიციო ნაწილში, ტფილისის დამოჟნასთან: პირველი 189,17, მეორე 245,5 და მესამე 251,25 ოთხკ. საჟ. ამ ადგილებზე იჯარადარს შეუძლიან საწყობები გამართოს შეშისა, შენობის მასალისა და სურსათისა. პირობების გაგება შეიძლება ყოველ საქმის დღეს გამგეობის მეოთხე განყოფილებაში, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის $1^{1}/_{2}$ საათამდე.

(3—2)

### ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1. **ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2. საზოგადო სავაჭროსა, 3. ბანკისას, 4. კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსია), 5. ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6. არითმეტიკას ხაანგარიშო ჩოთქით, 7. კომერციულ კორესპონდენციასა, 8. ვაჭრობის ისტორიასა, 9. ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.**

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

**ადრესი**: ტფილისი, **ალ. გ. სხათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირაუქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

**მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.**

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა იბეჭდება და მსურველთ უფასოდ შეუძლიანთ მიიღონ.

(15—4) **ალ. გ. საათაშვილი.**


### გამგეობა

ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა

ამით აცხადებს, რომ 14 ამა ივლისს, ბანკის სადგომში, ქ. ტფილისს, ფრეილინის ქუჩაზე, დღის 12 საათზე, დანიშნულია განმეორებითი და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებისა, რომლებიც ამ ბანკშია დაგირავებული და რომლებიც პირველ საჯარო ვაჭრობაზე არ გაიყიდა.

პირველი საჯარო ვაჭრობა დანიშნული იყო 27, 28 და 30 წარსულ ივნისის თვეში.

ბანკის წესდების მე-17 § თანხმად, ვაჭრობა დაიწყება იმ ვალის რაოდენობიდან, რომელიც აღნიშნულია ქვემოდ. ამას მიემატება გადაუხდელი თანხა და აგრეთვე საერო და საქალაქო გადასახადები.

ვისაც შევაჭრება სურს, ნაღდ ფულად უნდა წარმოადგინოს რაოდენობა იმ ფულისა, რომელიც უდრის მამულზე დარჩენილ ვალისა და მათზე გაწერილ საეროთ და საქალაქო გარდასახადთა ჯამს. ეს ფული წარმოდგენილ უნდა იქმნეს ვაჭრობის დაწყებამდის.

მამულის დასამტკიცებელი და ვაჭრობის დროს დანამატები ფული წარმოდგენილ უნდა იქმნეს 14 დღის განმავლობაში, ვაჭრობის დასრულების შემდეგ.

თავენი ვალი მამულების მეიდველს შეუძლიან თავისს თავზე გადაიწეროს იმ პირობებით, რა პირობებითაც წინანდელ პატრონსა ჰქონდა.

წესდების მე-15 § ძალით, პატრონს შეუძლიან ვაჭრობამდის გადასახადი შემოიტანოს ვაჭრობის დაწყებამდე და თავისი მამული ვაჭრობიდან გაანთავისუფლოს.

ვაჭრობის მოსურნეთ გასასინჯათ დანიშნულ მამულების შესახები ქაღალდები და დოკუმენტები შეუძლიანთ გადასინჯონ ბანკის კანცელარიაში ყოველ უქმის დღეს, ბანკში მუშაობის დროს.

ამასთანავე ბანკის მმართველობა იუწყება, რომ ბანკი პასუხის მგებელი არ არის, თუ მამულის წინანდელ აღწერილობასა და აწინდელ მის მდგომარეობის შორის რაიმე განსხვავება იქნება.

### I. ქალაქის მამულები

#### ქ. ტფილისში

არუთინოვი დარჩო მოსეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 105 ოთხკ. საჟ., მე-9 ნაწ., არსენალის ქუჩაზე.
თავნი ვალი 21231 მ. 37 კ. შესატ. გადასახადი 843 მ. 41 კ. სულ 22074 მ. 78 კ.

მარკოზოვისა მარიამ და ნინო გრიგორის ასულნი: შენობანი და მიწა, ზომით 94 ოთხკ. საჟ. მე-6 ნაწ., მზღვაკანოვის ქუჩაზე.
თავნი ვალი 5773 მ. 58 კ. გადასახადი 271 მ. 11 კ. სულ 6044 მ. 69 კ.

მელიქოვი ნიკოლოზ ლევანის ძე: შენობანი და მიწა, ზომით, ოთხკ. საჟ., მე-4 ნაწ., ლაბორატორიისა ერმოლოვისა და ახალ ბებუთოვის ქუჩაზე.
თავნი ვალი 106486 მ. 75 კ., გარდასახადი 4045 მ. 28 კ., სულ 110532 მ. 3 კ.

მიღოსკი კონსტანტინე პავლეს ძე და ჟურავლევისა ანტონინა ეგნატეს ასული: შენობანი და მიწა ზომ დოკუმენტით 329 ოთხკ. საჟ., შეფასების აქტით 497 ოთხკ. საჟ., მე-7 ნაწ. კარაკლისის ქუჩაზე.
თავნი ვალი 14283 მ. 75 კ., გადასახადი 599 მ. 41 კ., სულ 14883 მ. 16 კ.

ოსიკინისა მარიამ პროკოფის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 173,4 ოთხკ. საჟ., მე-7 ნაწ. ობსერვატორიისა და ბებუთოვის ქუჩაზე.
თავნი ვალი 4287 მ. 14 კ. გადასახადი 189 მ. 07 კ., სულ 4476 მ. 21 კ.,

ქერბალაი-ათაი-ქაში-მელიქ-ოღლი: შენობა და მიწა ზომით 50 ოთხკ. საჟ. დაფასების აქტით, 2 ნაწილში, უსახელო ქუჩაზე, რომელიც კუბის ქუჩის მარჯვნივ მიდის.
თავნი ვალი 2263 მ. 32 კ. შესატ. გარდ. 121 მ. 34 კ., სულ 2384 მ. 66 კ.

ქერბალაი მირ-დადაშ-მირ-ახმედ-ოღლი: მიწა და შენობები, ზომით 130,6 ოთხკ. საჟ. დაფასების საბუთებით ქვემო პრიუტის ქუჩა.
თავნი ვალი 21325 მ. 92 კ. შესატ. გარდ. 808 მ. 81 კ., სულ 22134 მ. 73 კ.

შემადი-ისკანდერ-ბეგ-ნასრულა-ბეგ-ოღლი: შენობანი და მიწა, ზომით 62 ოთხკ. საჟ., ქვემო პრიუტის ქუჩაზე.
თავნი ვალი 5227 მ. 52 კ., შესატ. გარდ. 231 მ. 77 კ., სულ 5459 მ. 29 კ.

ნაკაშიძე ალექსანდრე სერგის ძე: შენობები და მიწა ზომით 76,6 ოთხკ. საჟ., პერსიდსკაია ქუჩაზე.
თავნი ვალი 5875 მ. 42 კ., შესატ. გარდ. 263 მ. 44 კ. სულ 6138 მ. 86 კ.

ორდუხანოვები, ზამბახა არაქელის ასული და არშაკ და ხათენიკა ჯანგიროვები: შენობები და მიწა ზომით 150 ოთხკ. საჟ., მეორე პარალელ ქუჩ. და კუბის ქუჩაზე.
თავნი ვალი 17723 მ. 19 კ., შესატ. გარდ. 734 მ. 65 კ., სულ 18457 მ. 84 კ.

სერგეევი, საგათელ ისაკის ძე: შენობანი და მიწა; ზომით 180 ოთხკ. საჟ., პარალელ და პერსიდკაია ქუჩაზე.
თავნი ვალი 11547 მ. 15 კ., შესატ. გარდ. 487 მ. 90 კ., სულ 12035 მ. 05 კ.

ხანატუროვი აირაპეტ ოჰანეზას ძე: შენობანი და მიწა, ზომით 92,5 ოთხკ. საჟ., კრასნოკრესტოვის ქუჩაზე.
თავნი ვალი 3797 მ. 50 კ., შესატ. გარდ. 149 მ. 55 კ., სულ 3947 მ. 05 კ.

#### ქალ. ბათუმში.

თაიროვი, ივანე ალექსანდრეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 1793,2 ოთხკ. საჟ., ტფილისის და კლადბიშენსკაია ქუჩა.
თავნი ვალი 76462 მ. 64 კ., შესატ. გარდ. 2907 მ. 79 კ., სულ 79370 მ. 43 კ.

#### ქალ. ფოთში.

ლეჟავა ერემია სიმონის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 676 ოთხკ. საჟ., ივანოვის და კავკაზის ქუჩ.
თავნი ვალი 1219 მ. 11 კ., შესატ. გარდ. 180 მ. 87 კ., სულ 1399 მ. 98 კ.

#### ქალ. სუხუმში.

ტოწელეიშვილისა ანნა მიხეილის ასული: შენობები და მიწა, ზომით 82 საჟ. 2 არშ. და 9 გოჯი, ბაზრის ქუჩაზე.
თავნი ვალი 2486 მ. 59 კ., შემოსატ გარდ. 131 მ. 97 კ., სულ 2618 მ. 56 კ.

შეღაია ალექსი უჩას ძე: შენობები და მიწა, ზომით 210 ოთხკ. საჟ. ეკატერინეს და ვასილიევის ქუჩ.
თავნი ვალი 10029 მან. 29 კ., შემოსატ. გარდ. 423 მ. 8 კ., სულ 10453 მ. 37 კ.

#### ქალ. გორში.

ზუბიევი გაბრიელ იოსების ძე: შენობები და მიწა, ზომით დაფასების აქტით 113 ოთხკ. საჟ.
თავნი ვალი 5048 მ. 36 კ., შესატ. გარდას. 221 მ. 93 კ., სულ 5279 მ. 29 კ.

კაპანაძე თეიმურაზ ზაქარიას ძე: შენობები და მიწა, ზომით 252 ოთხკ. საჟ.
თავნი ვალი 4923 მან. 11 კ., შესატ. გარდ. 189 მ. 01 კ., სულ 5112 მ. 12 კ.

პარავიანცი სიმონ ოჰანესას ძე: შენობანი და მიწა, ზომით დოკუმ. 55 ოთხკ. საჟ., შეფასების აქტით 88 ოთხკ. საჟ., მე-5 ნაწ. აბას-აბადის შესახვევში
თავნი ვალი 12966 მ. 44 კ. გადასახადი 496 მ. 54 კ. სულ 13462 მ. 98 კ.

პეტროვსკი ფრანც ივანეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 106 ოთხკ. საჟ., მე-4 ნაწ. ამადლების ქუჩაზე.
თავნი ვალი 6694 მ. 25 კ. გადასახადი 266 მ. 77 კ. სულ 6961 მ. 02 კ.

პორტნოვი ვასილი იაკინთეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 120,86 ოთხკ. საჟ., მე-8 ნაწ. რიყის ქუჩაზე
თავნი ვალი 17320 მ. 73 კ. გადასახადი 708 მ. 34 კ. სულ 18028 მ. 77 კ.

როგოვენკო ანნა ილიას ასული და იაკობ ნიკოლოზის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 262 ოთხკ. საჟ., მე-9 ნაწ. ანდრეევის ქუჩაზე.
თავნი ვალი 24826 მ. 68 კ. გადასახადი 952 მ. 27 კ. სულ 25778 მ. 95 კ.

სარქისოვი ალექსანდრე სარქისის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 31 ოთხკ. საჟ., მე-7 ნაწ. 2-ე ერმოლოვის ქუჩაზე.
თავნი ვალი 1378 მ. 48 კ. გადასახადი 60 მ. 07 კ. სულ 1438 მ. 55 კ.

ტერ-სარქისოვი ივანე სერგოს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 120 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწ. დიდუბეში.
თავნი ვალი 19640 მ. 48 კ. გადასახადი 720 მ. 46 კ. სულ 20360 მ. 94 კ.

თორთოზოვი გრიქურა მელქოს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 78 ოთხკ. საჟ., მე-7 ნაწ. გრუზინსკის ქუჩაზე.
თავნი ვალი 3808 მ. 21 კ. გადასახადი 177 მ. 54 კ. სულ 3985 მ. 75 კ.

ხოდზოვი კონსტანტინე ანდრიას ძე: შენობანი და მიწა, ზომით 84 ოთხკ. საჟ., მე-7 ნაწ. ნორიის და მახათის ქუჩაზე.
თავნი ვალი 14823 მ. 54 კ. გადასახადი 568 მ. 16 კ. სულ 15391 მ. 70 კ.

ფომინი როდიონ ივანეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 63 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწ. გოგოლის ქუჩაზე.
თავნი ვალი 7595 მ. 01 კ. გადასახადი 322 მ. 09 კ. სულ 7917 მ. 10 კ.

#### ქალაქ ბაქოში

ადამალოვები გრიგოლ ისაის ძე, ვარსენიკა და რებეკა გრიგოლის ასულნი 3 ქადანთაროვებისა თამარა გრიგოლის ასული; არტემიევისა ანნა გრიგოლის ასული და ბოიაჯიანი ნატალია გრიგოლის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 460,2 ოთხკუთ. საჟ. ვრანგელისა და სპარსეთის ქუჩ.
თავნი ვალი 112612 მ. 31 კ., შესატ. გარდ. 4377 მ. 86 კ., სულ 116990 მ. 17 კ.

ასლანოვი ბაბიჩ არტემას ძე: შენობები და მიწა, ზომით 100 ოთხკ. საჟ. პარალელურ და ხომხის ქუჩ.
თავნი ვალი 8763 მ. 47 კ., შესატ. გარდას. 367 მ. 95 კ., სულ 9131 მ. 42 კ.

ბარტდორფი გუსტავ თეოდორეს ძე: შენობები და მიწა, ზომით 569,58 ოთხკ. საჟ., ტრამვაის ქუჩაზე.
თავნი ვალი 65516 მ. 65 კ., შესატ. გარდ. 3325 მ. 46 კ., სულ 68842 მ. 11 კ.

გუჯიევი ჰუსეინ-ჰაჯი-ჯებრაილ-ოღლი: შენობები და მიწა, ზომით 74 ოთხკ. საჟ. მეორე ნაწილში, წყლის-სახიდ ქუჩის ბოლოზე.
თავნი ვალი 2309 მ. 43 კ., შესატ. გარდას. 112 მ. 73 კ., სულ 2422 მ. 16 კ.

ჯანბაზოვი კასპარ სარქისას ძე: შენობები და მიწა, ზომით 150 ოთხკ. საჟ., მე-3 პარალელურ ქუჩაზე.
თავნი ვალი 19554 მ. 84 კ. შესატ. გარდ. 732 მ. 67 კ. სულ 20287 მ. 51 კ.

კატუევი-ბადალსარაევები ბილშო, მარდია, ავაქ, ივანე და აირაპეტ ხაჩატურას ძენი და მარქარ ალექსანდრეს ძე: მიწა და შენობა, ზომით 150 ოთხკ. საჟ., შემახისა და მე-4 პარალელურ ქუჩ.
თავნი ვალი 8712 მ. 56 კ. შესატ. გარდას. 357 მან. 16 კ., სულ 9069 მ. 72 კ.

დოლიძე, დარია იაკობის ასული: ხილ-ვენახის ბაღი, მიწა, ზომით 492 ოთხკ. საჟ.
თავნი ვალი 475 მან. 11 კ., შესატ. გარდ. 33 მ. 37 კ., სულ 508 მან. 48 კაპ.

#### ქალ. განჯაში.

ჯუგელიანცი, ალექსანდრე მიქას ძე: შენობანი და მიწა, ზომით 394,6 ოთხკ. საჟ. შეფასების აქტით და 423 ოთხკ. საჟ. დოკ., კერეზმანუტის და მელიქოვის ქუჩ.
თავნი ვალი 14605 მან. 76 კ., შესატ. გარ. 546 მან. 73 კაპ., სულ 15152 მან. 49 კაპ.

### II. სოფლის მამულები,

რომლებზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული.

#### ტფილისის გუბ.

##### ტფილისის მაზრა.

ბაირამ-ქერბალაი და ნაბი-ქერბალაი ნური-ოღლი, ალი-ორუჯ-ოღლი და სხვ.: სხვა და სხვა მიწა, ზომით 212 დეს. 454 ოთხკ. საჟ., იორა-მუღანლოს სოფ.
თავნი ვალი 6701 მან. 14 კაპ., შესატ. გარდ. 234 მან. 58 კაპ., სულ 6935 მ. 72 კ.

გრუზინსკის, თამარ დავითის ასული: სათიბი, ზომით 106 დეს., სოფ. ქარხნიანი.
თავნი ვალი 2878 მან. 69 კ., შესატ. გარდ. 115 მან. 25 კაპ., სულ 2993 მ. 94 კ.

ქერბალაი-ისა-რუსტამ-ოღლი ზილიფხაროვი, ქერბალაი-უსეინ და კერბალაი ბაირამ, ქერბალაი-ნავრუზ-ოღლი და ალი-ასან-ოღლი: სხვა და სხვა გვარი მიწა, ზომით 109 დეს, 2227 ოთხკ. საჟ., სოფ. მუღანლო.
თავნი ვალი 2857 მან. 86 კაპ., შესატ. გარ. 107 მ. 24 კ., სულ 2965 მან. 10 კაპ.

მუღანლოს სოფლის საზოგადოება, სხვადასხვა მიწა, ზომით 125 დეს. 1524 ოთხკ. საჟ., სოფ. იორა მუღანლო.
თავნი ვალი 2878 მ. 69 კ. გადასახადი 105 მ. 40 კ. სულ 2984 მ. 09 კ.

ოსტენ-საკენი სალომე დავითის ასული: სხვადასხვა მიწა, 106 დეს. იორა მუღანლოს სოფ.
თავნი ვალი 2878 მ. 69 კ. გადასახადი 115 მ. 25 კ. სულ 2993 მ. 94 კ.

სოფ. მუღანლო გლეხთა საზოგადოება, სახნავი და სათიბი შენობანი და მიწა, ზომით 106 დ., სოფ. მუღანლო.
თავნი ვალი 2878 მ. 69 კ. გადასახადი 105 მ. 40 კ. სულ 2984 მ. 09 კ.

##### გორის მაზრა.

დაბაძენი აბრამ, მათე, ზურაბ, დიმიტრი და ლევ გიორგის ძენი: შენობა, სხ. და სხ. მიწა, 7 დ. 204 ოთხკ. საჟ., სოფ. ნასტეს
თავნი ვალი 972 მ. 02 კ. გადასახადი 41 მ. 92. კ. სულ 1013 მ. 94 კ.

ნაკაშიძე ივანე, ალექსანდრე, ილია, ლევან, ნიკოლოზ და ელენე პეტრეს ძენი და ასული და ვარვარა სოლომონის ასული: სხვადასხვა მიწა, 49 დეს. 1702 ოთხკ. საჟ., ბეგლეთს და მერკეულს.
თავნი ვალი 790 მ. 5 კ. გადასახადი 35 მ. 44 კ. სულ 825 მ. 49 კ.

პეტრემლევლიშვილი გიორგი გაბრიელის ძე: სახნავი 5 დეს. 1820 ოთხკ. საჟ., სოფ. ახრისი.
თავნი ვალი 292 მ. 22 კ. გადასახადი 29 მ. 74 კ. სულ. 321 მ. 96 კ.

ციცქიშვილისა ნატალია ალექსანდრეს ასული: (საჯარო ვაჭრობით ნაყიდი ალექსანდრე ადამიანის სალორთქიფანიძისეული მამული) სხვადასხვა მიწები ზომით 20 დეს. 1880 ოთხკ. საჟ. სოფ. ფხვენისი.
თავნი ვალი 1018 მ. 07 კ. შესატ. გარდ. 36 მ. 78 კ. სულ 1055 მ. 05 კ.

##### თელავის მაზრა.

ტარასოვი მიხეილ გიორგის ძე: (საჯარო ვაჭრობით ნაყიდი იაგორ არტემის ძის ოსკანოვისეული მამული). სხვადასხვა მიწები ზომით 44 დეს. 1460 ოთხკ. საჟ. სოფ. კონდოლსა და კისისხევში.
თავნი ვალი 4563 მ. 28 კ. გარდასახადი 156 მ. 28 კ. სულ 4719 მ. 56 კ.

ჩიჯავაძე-მახვილოვი, ზაქარია გაბრიელის ძე: სხვადასხვა მიწ. ზომით 116 დეს. 2010 ოთხკ. საჟ. სოფ. კისის-ხევში.
თავნი ვალი 4142 მ. 76 კ. გარდასახადი 137 მ. 34 კ. სულ 4280 მ. 10 კ.

##### თიანეთის მაზრა.

ზითანაშვილი გიორგი სოსიას ძე, ბუჯიაშვილი გიორგი ივანეს ძე და სხ.: სხვა და სხვა მიწები, ზომით 245 დეს. 860 ოთხკ. საჟ. სოფ. სიონ-დიგმელაური.
თავნი ვალი 2434 მ. 83 კ. გარდასახადი 90 მ. 25 კ. სულ 2525 მ. 08 კ.

#### განჯის გუბერნიასა და მაზრაში.

ჯამილინსკაია, გაჯარ ხანუმა: სხვადასხვა მიწები ზომით 985 დეს. 677 ოთხკ. საჟ. სოფ. მოლლა-ვალატი.
თავნი ვალი 5976 მ. 93 კ. შესატ. გარდ. 201 მ. 20 კ. სულ 6178 მ. 13 კ.

ზიატხანოვები, ჰასან-ხანი კაგრამან ხან და ნაზლუ ბეგუმ-ჰასან ფაშა ყიზი: სახნავი და სათიბი მიწები, ზომით 263 დეს. ხროკ. არაფლუში.
თავნი ვალი 3984 მ. 63 კ. შესატ. გარდ. 137 მ. 32 კ. სულ 4121 მ. 95 კ.

რუდმეტკინი პეტრე პეტრეს ძე: სხვა და სხვა მიწ. ზომით შეფასების აქტით 3181 დეს. სახელად „იაგ-სატანი“
თავნი ვალი 37696 მ. 59 კ. შესატ. გარდ. 1218 მ. 52 კ. სულ 38915 მ. 11 კ.

რუდმეტკინი პეტრე პეტრეს ძე: სხვა და სხვა მიწა, ზომით 1348 დეს. 1200 ოთხკ. საჟ. სოფ. ბოზ-ერი-სარი-დაგ-ბოზ-დაგ.
თავნი ვალი 4967 მ. 14 კ. შესატ. გარდას. 169 მ. 12 კ., სულ 5136 მ. 26 კ.

### სოფლის მამულები,

რომელთა გირავნობით გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი.

#### ტფილისის გუბერნია.

##### ტფილისის მაზრა.

ვორონინი ნიკიტა ისაიას ძე: სათიბი, ზომით $2^{1}/_{2}$ დეს. სოფ. ყარაჯალაში.
თავნი ვალი 125 მან., შესატ გარდას. 26 მ. 80 კაპ., სულ 151 მ. 80 კ.

##### თელავის მაზრა.

გადუაშვილები გიორგი და საბა იოსების ძენი: სამოსახლო და ვენახი, ზომით 2 დესეტ. 2210 ოთხკ. საჟ , სოფ. ყვარელში.
თავნი ვალი 1000 მან., შესატ. გარდას. 52 მან. 52 კ., სულ 1052 მან. 52 კ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 13 іюля 1905 г. ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.